# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 10 (4569) ● 6 ივნისი ● 2018 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი


გილოცავთ სასწავლო წლის დამთავრებას! გაუმარჯოს არდადეგებს!

# არ დავივიწყოთ პირველი მასწავლებელი!

IVა კლასი





**ალბათ,** არ არსებობს ადამიანი, პირველი მასწავლებელი არ ახსოვდეს და იგი განსაკუთრებული სიყვარულით არ მოიხსენიოს.

თბილისის 142-ე საჯარო სკოლაში შემოქმედი დირექტორის **შორენა ცნობილაძის,** მისი მოადგილის **ბელა ჩიტაიას** და ძლიერი პედაგოგების რუდუნებით სასწავლო წელი სასურველი შედეგებით დასრულდა. დამოუკიდებელი ცხოვრების გზა დაულოცეს მეთორმეტეკლასელებს, წარმატებები უსურვეს. ბოლო ზარს ახლდა თავისებური რომანტიკული ელფერი, დიდი, მაგრამ სევდაშეპარული სიხარული. ასეთივე განწყობით გამოემშვიდობებიან თავიანთ პირველ მასწავლებლებს მეოთხეკლასელები, რომლებიც სწავლების მორიგ საფეხურზე გადავლენ.

პირველ მასწავლებელთან განშორებას განიცდის ბავშვი, უფრო ემოციურად კი – მასწავლებელი. თავიანთი დაფრთიანებული თვალხატულა გოგო-ბიჭები „ქეთოს მერცხალივით“ გაუფრინდებიან. კარგად იმუშავა დაწყებითი კლასების კათედრამ ერუდირებული, სიახლის მაძიებელი პედაგოგის **ნინო შოვნაძის** ხელმძღვანელობით. მასწავლებლებმა ყველაფერი იღონეს, რომ პატარები იაკობის დედაენითა და მამულის სიყვარულით აღზრდილიყვნენ. ამისთვის კი ცეროდენები ერთი პოეტის სტრიქონებით: „შეგვასწავლა ანი-ბანი, შეგვაყვარა დედაენა, თავს გვევლება, ფრთებს გვისწორებს, რომ თამამად შევძლოთ ფრენა“ მადლობას უხდიან თავიანთ პირველ მასწავლებელს.

IVბ კლასი





## ვამაყობ ჩემი აღზრდილებით

**ეს** თვალხატულა გოგო-ბიჭები ჩემი მეათე გამოშვებაა.

თავიდანვე მიზნად დავისახე მათთვის საჭირო ცოდნისა და ფიზიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რომ შეძლებოდათ ცოდნის შეძენასთან ერთად დამოუკიდებლად აზროვნება. ვცდილობდი, ყოფილიყვნენ შემოქმედნი, ერთმანეთთან კომუნიკაბელურნი და მეგობრული. მიზანს მივაღწიე.

შეუძლიათ მხატვრული ტექსტის კითხვა და ანალიზი, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დასაბუთება, დეფორმირებული ტექსტის აღდგენა, სხვადასხვა პირში თხრობა, პარალელების გავლება შესწავლილ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან. შეისწავლეს მილიონის ფარგლებში ოთხივე მოქმედება, მრავალკუთხედების და სივრცული ფიგურების დასახელება, ამოცანების ამოხსნა. ასე რომ, მზად არიან მე-5 კლასში წარმატებით ისწავლონ. მჯერა, სწავლების მომდევნო საფეხურზე იმედებს გამიმართლებენ.

**ციალა გელაშვილი**

## არ დამივიწყებენ

**წელს** მე-5 გამოშვებას ვაცილებ.

მოსწავლეებში აღვზარდე დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევები, შეუძლიათ საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დასაბუთება.

ჩავატარე შემეცნებითი ღონისძიებები, ვიყავით ექსკურსიებზე ღირსშესანიშნავ ადგილებში საქართველოს მასშტაბით. დავათვალიერეთ თბილისი, მცხეთა, საგურამო, ჯვრის მონასტერი, მარტყოფი, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი და სხვა. მონაწილეობა მივიღეთ კონკურსში „ახალი საქართველოს მზერა – წინ ევროპისაკენ“. აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირმა დაგვაჯილდოვა „საპატიო სიგელით.“

ვატარებ გამოსაშვებ ღონისძიებას თემაზე: **„ჩვენი სკოლის სიყვარული“.** წავალთ ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში და დავემშვიდობები ჩემს საყვარელ მოსწავლეებს. არასოდეს დავივიწყებ. მჯერა, არც ისინი დამივიწყებენ.

**ნაილი ბახტურიძე**

IVგ კლასი

## მეგობრებად დავრჩებით

**მიმდინარე** სასწავლო წელს მე-7 გამოშვებას ვაცილებ. მიმდინარე დამამთავრებელ ღონისძიებად შევარჩიე თემა: **„ოთხი წელი სკოლაში“.** ამას მოჰყვება საინტერესო ექსკურსია.

ღონისძიებაზე გაიხსენებენ მათთვის საინტერესოდ გატარებულ დღეებს პირველ მასწავლებელთან, ღია გაკვეთილებს, ექსკურსიებს, სხვადასხვა ოლიმპიადებში გამოვლენილ მიღწევებს, ისაუბრებენ მუზეუმებში მიღებულ შთაბეჭდილებებზე და სხვა. მინდა ვთქვა, რომ ამ ოთხ წელიწადში ცხოვრებისთვის ფრთები კარგად მოიმაგრეს.

ვფიქრობ, კარგად მომზადებულნი გადადიან მე-5 კლასში და წარმატებით ისწავლიან. მუდამ მივადევნებ თვალს მათ საქმიანობას. მეგობრებად დავრჩებით.

**მანანა ხულუზაური**





გაგრძელება მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

მორიგი ნომერი გამოვა სექტემბერში

1 ივნისი პატარების დღეა!

# ლეილას ლექსები ბავშვებს ხალის-სიხარულით ავსებს



ლეილა ვადაჭკორია

**მკითხველებში** გავრცელებული აზრი, თითქოს მელექსეობა ფილოლოგის პრეროგატივა იყოს, მცდარია. ქიმია-ბიოლოგიის ჩინებული პედაგოგია **ლეილა ვადაჭკორია**, მაგრამ მეტად პოპულარული საბავშვო პოეტია. აკადემიკოსი, დედაუნივერსიტეტის ყოფილი რექტორი **ნიკო კეცხოველი** ბიოლოგი იყო, მაგრამ მისი წიგნი **„მკერდში დაჭრილი ბუნება“** მხატვრულ-აღმზრდელობითი ფუნქციით რომელი საბავშვო მწერლის ნაწარმოებს ჩამოუვარდება?

იგივე შეიძლება ითქვას **ლეილა ვადაჭკორიას** საბავშვო ლექსებზეც. რატომ არის იგი პოპულარული? იმიტომ, რომ ხალასია, სადა, ბავშვებისთვის ადვილად აღსაქმელი. „მსუბუქფრთიანი“, ნორჩთა გულის სიმების ამჟღერებელი. ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ლექსები სწორედ ამის დასტურია.

ვთხოვთ, განათლების სამინისტროს სასკოლო სახელმძღვანელოთა სამსახურს, დაწყებითი კლასების სასწავლო წიგნებში შეიტანონ რამდენიმე რჩეული ლექსი. ავტორი ასეთი ფრთიანი ფრაზებისა, როგორიცაა: „ციდან ჩამოვკრეფთ ვარსკვლავებს და დავურიგებთ პატარებს“ ნამდვილად იმსახურებს სათანადო დაფასებას. ახლა კი **ლეილა ვადაჭკორიას** რამდენიმე ლექსი გავიცნოთ, რომელიც უთუოდ ხელს შეუწყობს ბავშვის შემეცნებითი უნარ-ჩვევების გააქტიურებას.

### წინაპარი

**გულზვიადი** მთები მიყვარს
დაფერილი მზითა,
ყანა მიყვარს მობიბინე
დაგვითა და წვითა.
მიყვარს ჩემი ბაღ-ვენახი,
მინდორი და ჭალა,
მიწა მიყვარს, სადაც გმირი
წინაპარნი წვანან.

### მასწავლებელი

**საყვარელო** დედიკო,
საყვარელო მამიკო,
განა მე თქვენს სიყვარულს
ქვეყნად ვინმე გამიყოფს.

მაგრამ როცა სითბოთი
თვალებში შემციცინებს,
მაშინ გულში მალულად
მასწავლებელს ვიფიცებ.
ის სითბოს და სიყვარულს
სულ თანაბრად არიგებს,
როცა რამე გვეშლება,
დედასავით გვარიგებს.

### ცაო, არ დაინისლო!

**ქარიშხალი** დააცხრე
მზეო, თბილი ბგერებით,
ჭექა-ქუხილსაც მიწვდი
დაამშვიდე ფერებით.

***

ახლა ცაზე ღრუბელი
ისე აღარ ირევა
და მიმწუხრის დღეები
ნელა-ნელა ილევა.
ცაო, არ დაინისლო,
მზეო, სხივთა სათავევ,
თვალი რომ გაგისწორო
გავიკეთებ სათვალეს.

### მტერი განა მოგვერევა?

**შვილო,** უნდა ქველი იყო
სიკეთისთვის გაისარჯო
და სამშობლოს სიყვარულში
სულ ბოლომდე დაიხარჯო.

დროს აუწყო ფეხი უნდა
არ მოდუნდე, სულ იფხიზლო,
შენს მიწა-წყალს ესათუთო
სხვაგან კი არ გაიხიზნო.

მოეფერო ბაღს და ვენახს,
სულს უდგამდე მთას და მდელოს,
მტერი ველარ მოგვერევა
ვერ გაგვიტანს მაშინ ლელოს.

ამ დალოცვილ ცისქვეშეთში
ჩვენც ერთ სხივად უნდა ვენთოთ,
ჩემს სამშობლოს განსაცდელში
შეაშველე ხელი, ღმერთო!

### გიოს შეცდომა

**თვითმფრინავი** გაგიკეთე
მოდი, ნახე, სოფიო,
აიხდინე ოცნება და
მოიფრინე მსოფლიო.

გმადლობთ, გიო, მაგრამ
დაგვიწყნია ფრთები,
უფრთო თვითმფრინავით
როგორ გავფრინდები?

***

გილოცავთ სასწავლო წლის დამთავრებას! გაუმარჯოს არდადეგებს!

დასაწყისი 1-ელ გვ.

IVᵈ კლასი

## წარმატებებით გევლოთ!







**არ** შემიძლია უემოციოდ გავიხსენო პირველკლასელი გოგო-ბიჭები, რომლებიც იმედის თვალით შემომცქეროდნენ ცხოვრების საწყის ეტაპზე. დავიწყეთ, დავმეგობრდით, შევისწავლეთ წერა-კითხვა, ანგარიში. წლის ბოლოს დიდი ზეიმით გავაცილეთ ანბანი.

დღეს კი თვალებაცრემლებული მეოთხე კლასელები პირველ მასწავლებელს მემშვიდობებიან. ოთხი წელი ნაყოფიერი აღმოჩნდა. მათ შეიძინეს საგნების ცოდნასთან ერთად ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები, ვმუშაობდით სხვადასხვა სასწავლო პროექტებზე, ვაწყობდით ვიქტორინებს, კონკურსებს, ექსკურსიებს, აქტიურად ვიყენებდი ჩემს მიერ შექმნილ ელექტრონულ სასწავლო რესურსს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობები მოსწავლეებისთვის სახალისო და ამავდროულად ცოდნის მიღების საუკეთესო საშუალებები იყო.

ჩემი გოგო-ბიჭები მალე ერთი ნაბიჯით გადაინაცვლებენ ცხოვრების საფეხურზე, ამჯერად, ჩემს გარეშე. ეს ჩემთვის ძალიან რთულია, ისინი ხომ ჩემთვის პირველები არიან და მეც პირველი მასწავლებელი ვარ მათთვის.

ჩვენ ვაგრძელებთ მეგობრობას.

**მაია ლაბუჩიძე**

IV⁵ კლასი

## გზა დაგვილოცნია!





**ეს** კლასი რუსულია. იგი არის ჩემი მეექვსე გამოშვება. სასწავლო წლის დასაწყისში IV⁵ კლასში იყო 19 მოსწავლე. ჩემი მიზანი იყო მოსწავლეებში ცოდნისა და ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების გამომუშავება. ვზრუნავდი, ყოფილიყვნენ კომუნიკაბელურები. მუდამ ვცდილობდი სხვა ეროვნების ბავშვები მეგობრობის გრძნობით, საქართველოს სიყვარულით გამეზარდა. ვფიქრობ, მიზანს მივაღწიე.

ჩემს მოსწავლეებს შეუძლიათ მხატვრული ტექსტის კითხვა, ანალიზი, კითხვებზე პასუხის გაცემა, თავისუფალი თემის დაწერა, თავისი აზრის ჩამოყალიბება. შეისწავლეს მათემატიკა. მილიონის ფარგლებში ოთხივე მოქმედება, ამოცანების ამოხსნა, გეომეტრიული ფიგურები.

მათი სიყვარული ბოლომდე გამყვება. მჯერა, პირველ მასწავლებელს არ დამივიწყებენ და მასახელებენ კარგი სწავლითა და მოქალაქეობით.

**ნინა მზარეულაშვილი**

**P. S. რედაქტორის მინაწერი: გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია ყველა კურსდამთავრებულს ულოცავს სკოლის დამთავრებას და დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გამარჯვებებს უსურვებს. გესახელებინოთ მშობლიური სკოლა და თქვენი მასწავლებლები!**

*მაყვალა მრევლიშვილი*

### გამომშვიდობება

**ჩვენი** კლასის ზეიმია,
მასწავლებელს ვეთხოვებით
და ამიტომ შევიკრიბეთ
ტოლები და მეგობრები
გზას გვილოცავთ? ჩვენც
გპირდებით
სწავლით, შრომით გასახელოთ,
მშობლებო და აღმზრდელებო,
ჩვენო დედა საქართველო!

***

*ლიდია მეგრელაძე*

### ქეთოს მერცხალი

**გაფრინდა** ქეთოს მერცხალი,
აღარ ჭიკჭიკებს ბანზედა.
ქეთო მოწყენით გაჰყურებს,
ცრემლი უბრწყინავს
თვალზედა
და ასე ამბობს: ნეტავი,
მეც რად არა მაქვს ფრთებიო,
რომ მისებრ გადავიქროლო
ცადაბჯენილი მთებიო.

ნომრის სტუმარია თბილისის მე-9 საჯარო სკოლა

# სამინისტროს ახალ პროექტებს წარმატებით განვახორციელებთ



**სკოლის** მისია მოსწავლეზე ორიენტირებული, ხალისიანი და უსაფრთხო გარემოს შექმნაა, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ თანაბარ და კონკურენტუნარიან პირობებში წარმოაჩინონ თავიანთი უნარ-ჩვევები, დაძლიონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტები.

**ნოდარ ახალკაცის** სახელობის თბილისის მე-9 საჯარო სკოლის დირექტორს **მარინა გიგაურს** და მასწავლებლებს გათავისებული აქვთ სკოლის მისია. 2017-2018 სასწავლო წელი სკოლისათვის შემოქმედებითად მეტად დატვირთული და ნაყოფიერი იყო. მეტად სასიხარულო და ისტორიული მოვლენა სკოლისთვის წარჩინებული კურსდამთავრებულის **ნოდარ ახალკაცის** სახელის მინიჭებაა. „ნოდარ ახალკაცის სახელი იარსებებს მანამდე, სანამ იარსებებს ქართული ფეხბურთი. ქართული ფეხბურთი კი უკვდავია“ - ამ სიტყვებით



სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას ფეხბურთის მაესტროს გვერდით ქართული სპორტის სხვა დიდოსტატთა ისტორიული ფოტოებია გამოფენილი.

სკოლა აქტიურად არის ჩართული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროექტებსა და ღონისძიებებში. დაწყებით საფეხურზე მნიშვნელოვანია მოსწავლეებში შემოქმედებითი მუხტის გაღვივება და ფიზიკური აქტივობების განვითარება. ამ მიზნით სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობა მათთვის საუკეთესო სტიმულია. დირექციის ხელშეწყობით მეოთხე კლასების ხელმძღვანელებმა დამამთავრებელი ღონისძიებები ჩაატარეს: **„დამოუკიდებლობის დღისადმი“** მიძღვნილი (პედ. **ც. ვაზაგაშვილი**), **„დედაენის დღისადმი“** მიძღვნილი (პედ. **ნ. ოდიშვილი**), თეატრალური წარმოდგენა **„ვაჟა- ფშაველა“ (ლ. ფარქოსაძე)**. სამივე ღონისძიებას ალამაზებდა მუსიკის პედაგოგი, სკოლასთან არსებული მუსიკალური სტუდიის ხელმძღვანელი **ნანა ზარქუა**.

წლევანდელი კურსდამთავრებულები, რომლებზეც განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით საუბრობენ სკოლის დირექტორი **მარინა გიგაური** და დირექტორის მოადგილე **ელეონორა ფერაძე,** აქტიურად იყვნენ ჩართული სხვადასხვა ღონისძიებაში და მნიშვნელოვან წარმატებებ-



საც მიაღწიეს: სარაიონო და საქალაქო კონკურსებში, ვაჟა-ფშაველას იუბილესადმი მიძღვნილ თეატრალურ ფესტივალში სპექტაკლით **„ვაჟას ლეგენდა“,** რისთვისაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წამახალისებელი სიგელით დააჯილდოვა. ასევე გაიმარჯვა სპექტაკლმა **„გალაკტიონის დემონები“.**

**მირზა გელოვანის** სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკამ ინტელექტუალურ ვიქტორინა-თამაშის საქალაქო შეჯიბრებაში მეორე საპრიზო ადგილის დაკავებისთვის და „ყველაზე სხარტი, ნიჭიერი და მოაზროვნე“ საუკეთესო თეატრალური მონტაჟის წარმოდგენისთვის სკოლის წლევანდელი კურსდამთავრებულები სიგელებით დააჯილდოვა. სკოლას ჰყავს ოქროს მედლის ორი კანდიდატი: **დათა ჩხიკვაძე** და **თამარ კობერიძე**, ვერცხლისა ერთი – **ლევან კაპანაძე**.

დირექციის და მაღალკვალიფიციური პედაგოგთა კოლექტივის თავდაუზოგავი შრომის შედეგია ნოდარ ახალკაცის სახელობის მე-9 საჯარო სკოლის მოსწავლეთა წარმატებები აკადემიური მოსწრების მხრივაც. ფასილიტატორების **(ლ. ხაჩიძე, მ. გოგაშვილი, თ. მაისურაძე)** და შეფასების ჯგუფის წევრების ხელშეწყობით სკოლის ყველა პედაგოგი ჩართულია პედაგოგთა პროფესიული ზრდისა და კარიერული წინსვლის სქემაში. ნაყოფიერად მუშაობენ საგნობრივი კათედრები: ქართული ენის და ლიტერატურის, მათემატიკის, უცხო ენების სპორტის, საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი მეცნიერებების, დაწყებითი კლასების, ესთეტიკისა.

მრავალფეროვან სასწავლო აქტივობებს სთავაზობს მოსწავლეებს სამოქალაქო განათლების კლუბი **„აპექსი“** (ისტორიის პედაგოგი **თ. შიშნიაშვილი**). აქ გაერთიანებული არიან მეცხრე და მეათეკლასელები, მონაწილეობენ რესპუბლიკურ ღონისძიებებში. ჩაატარეს კონფერენცია და იმპროვიზაცია **„ბულინგის“** თემაზე. ყველა კლასი ჩართული იყო აუტიზმთან და დაუნის სინდრომთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, სადაც გუნდური მუშაობის პრინციპით დირექციასა და კლასის ხელმძღვანელებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობდნენ სსსმ მოსწავლეთა სპეცმასწავლებელი **თამარ ბედენაშვილი** და სკოლის ექიმი **ირინა ჭითანავა.**

2017-2018 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიება მოწვეული ზღაპრის გმირების მონაწილეობით. 8 ოქტომბერს სკოლამ ჩაატარა კონცერტი **„თბილისობასთან“** დაკავშირებით. მოეწყო მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა შემოდგომის თემაზე.





მეხუთე კლასებში გაიმართა **„ნიუ პრაიმის“** მიერ მომზადებული გუნდური მათემატიკური შეჯიბრი **„სახალისოდან შემეცნებამდე“** (პედაგოგი **ა. თეთრაძე**). ღონისძიება-პროექტი **„ასურელი მამები საქართველოში“** (პედაგოგი **შ. ქვრივიშვილი**). საახალწლო ღონისძიება არტ-ჰოლში. ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ ორგანიზებული ღონისძიება **„ვაჩუქოთ დედებს“.** ჩატარდა ღონისძიება დედამიწის დღესთან დაკავშირებით **„იდღეგრძელე დედამიწავ“** (პედაგოგი **ლ. აფციაური**). სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს დანაშაულის შესახებ დაესწრნენ სკოლის მეათეკლასელები.

მოსწავლეები ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებში. **„სმარტის“** ოლიმპიადის სხვადასხვა საგნის გამარჯვებულია 14 მოსწვლე. სკოლას ჰყავს შარშანდელი ოლიმპიადის **„ოქროს გოგონა“ მარიამ გოლაშვილი** და **„ოქროს ბიჭუნა“**



**გიორგი ფერაძე**.

**„ყველაზე წიგნიერის“** ფინალურ ტურში გადავიდნენ მეცხრეკლასელები (კლასის ხელმძღვანელი **ნ. ტრაპი** და **„წიგნიერის“** ხელმძღვანელი ბიბლიოთეკის გამგე **მ. ახალკაცი**). **„ეტალონის“** ათეულში მოხვდა მეათეკლასელი **სოფო ლომიძე** (კლასის ხელმძღვანელი **ე. ჩიტოშვილი**). მეხუთე კლასის მოსწავლე **ანი გოდერძიშვილმა** საქართველოს მასშტაბით ტანვარჯიშში აიღო ოქროს მედალი. ნაძალადევის გამგეობის ორგანიზებით სკოლებს შორის მოწყობილ ფრენბურთის შეჯიბრში მეორე ადგილი აიღეს.

სკოლა ჩართულია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ ორ საერთაშორისო კვლევაში **„თალიზი“** და **„პიზა“.** ხდება კვლევების ინტეგრირება სასწავლო პროცესთან. უფრო აქტიური ხდება მშობლებთან თანამშრომლობა.

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით ცნობილ კალათბურთელებთან ერთად სკოლას სტუმრობდა პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ნაძალადევის რაიონიდან **სოფო კილაძე**. კალათბურთელებმა სკოლის მოსწავლეთა გუნდთან სახალისო თამაში გამართეს.

წარმატებით ხორციელდება განათლების სამინისტროს ახალი ინიციატივები და პროექტები. **მარინა გიგაური** ამ სკოლის დირექტორია 2014 წლიდან. იგი პროფესიით ფილოლოგია, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი. 30 წელზე მეტია, რაც პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. განსაკუთრებული სითბოთი ქალბატონი მარინა თბილისის ლოგოპედიურ სკოლაში მუშაობის წლებს იხსენებს. მისი ხელმძღვანელობით კოლექტივი ქმედითად არის ორიენტირებული მაღალ შედეგებზე.

აქ ყველა პირობაა შექმნილი თითოეული მოსწავლის ჰარმონიული განვითარებისა და მაღალი სააზროვნო უნარ-ჩვევებით აღჭურვილ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის. ეს ის სკოლაა, რომელსაც უნდა ენდო და რომელიც ნდობას მუდამ ამართლებს.

**ნათია გურგენიძე**

„ისწავლე „თამარიონში“ – აირჩიე ნათელი მომავალი!“

# გაერთიანებული საქართველოს საწინდარი ყოფილიყოს!






„სკოლა „თამარიონი“ მოწოდებულია შექმნას ისეთი სასკოლოგარემო, სადაც ყმაწვილები მიიღებენ ხარისხიან განათლებას, ეზიარებიან ზოგადსაკაცობრიო ჰუმანურ იდეალებსა და ღირებულებებს. სკოლა მიზნად ისახავს აღზარდოს პიროვნულად ღირსეული, მაღალი ეროვნული ღირებულების განათლებული, კრიტიკულად მოაზროვნე, ტოლერანტი, პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქე; ხელი შეუწყოს მოსწავლეებს სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაში, განუვითაროს ისეთი უნარ-ჩვევები, რაც დაეხმარება მათ წარმატებულ თვითრეალიზებაში.

**ამ მისიის განსახორციელებლად სკოლა ქმნის მართვის, აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემას და საქმიანობას მუდმივი განვითარებისა და სრულყოფის რეჟიმში წარმართავს.“**

ეს კერძო სკოლა **„თამარიონის“** მისიაა. ასე ივალდებულა მან – დირექციამ, პედკოლექტივმა – ყოველი აღსაზრდელის, ერისა და ქვეყნის წინაშე.

ფართო, ნათელ, ესთეტიკურ-დიდაქტიკურად გაფორმებულ დერეფანში გამოკრული მისია ჩავიკითხე და ღიმილით



მივმართე წლევანდელ კურსდამთავრებულ **გურამს,** დირექტორის მოადგილესთან – ქალბატონ **ქეთევან ხაბულიანთან** რომ მიმაცილებდა, გადაჭარბებული ხომა არაა ნაკისრი-მეთქი. პასუხი ლაკონური და ერთობ სერიოზული იყო: **„არა. ნაკისრიცაა და შესრულებულიც“.**

როცა სკოლის აღზრდილი ასე მოგიგებს, თანაც მაშინ, ვინმეს მაამებლობა რომ არა სჭირდება, ანუ გულით ამბობს, სკოლის ღვაწლის, ამაგის უკეთესი შეფასება და დაფასება ძნელი წარმოსადგენია.

„ზურგი გავუმაგროთ“ გურამის გადაჭრით ნათქვამს.

**„თამარიონი“ მარადიული სკოლა, ერთი დიდი ოჯახია, სადაც პრობლემები და სიხარული საერთოა. მასწავლებლები მოსწავლეების მეგობრები, მრჩევლები არიან და ჩვენს აზრსაც ყოველთვის უწევენ ანგარიშს. უდიდესი მადლობა დირექციას, პედაგოგებს თანადგომის, სიყვარულის, მოთმინებისთვის. გარწმუნებთ, რომ იამაყებთ ჩვენით.“**

**ვიქტორია ბახტურიძე**

**„ოთხი წლის წინათ შემოვუერთდი „თამარიონს“ და ძალზე მახარებს ეს არჩევანი.**



**მადლობა ყველას, ვინც ცოდნაც მომცა და პიროვნებადაც ჩამომაყალიბა. დირექცია, პედკოლექტივი ცდილობდნენ ყოველი დღე ხალისიანი და საინტერესო ყოფილიყო ჩვენთვის. ამითაა ეს სკოლა უნიკალური.**

**თამამად ვდგავარ დიდი ცხოვრების ზღურბლზე და თვალს ვუსწორებ მომავალს – სკოლაში მიღებული ცოდნა და აღზრდა ჩემი წარმატებების მტკიცე საწინდარია.“**

**ბახვა დავლაშელიძე**

**„მე-6 კლასში გადმოვედი ამ სკოლაში და სრულიად უცხო გარემოში მოვხვდი. მაგრამ ძალიან მალე ეს უცხო ადამიანები ძალზე ახლობლები გახდნენ ჩემთვის. მადლობა კლასელებსა და ყველა პედაგოგს.**

**იყო „თამარიონელი“ ნიშნავს იყო მცოდნე, სამშობლოს მოყვარული, მოქალაქეობრივი შეგნების მქონე პიროვნება. და ასეთები რომ ვართ, ეს მთელი პედკოლექტივის დამსახურებაა.“**

**ბესო მეკინოლოვი**

ეს ამონარიდებია კურსდამთავრებულთა გაცილების ძალზე სათუთ, სიყვარულით ნაკარნახევ და სიყვარულიდან ამოზრდილ ტრადიციულ ზეიმზე წარმოთქმული ყმაწვილების სიტყვებიდან. კურსდამთავრებულნი მანტიებით იმოსებიან, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებს შესატყვისი ფერების ქუდები ხურავთ. არის სიხარულიცა და სევდაც, მხიარულებაცა და სკოლასთან, პედაგოგებთან განშორების სინანულიც... ამ დღესასწაულს ყოველთვის საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს – 26 მაისს ამთხვევენ.

აღზრდილებს დიდი ცხოვრების გზა დაულოცეს დირექტორმა, ქალბატონმა **გულნარა კვიციანმა**, ფინანსურმა დირექტორმა, ქალბატონმა **ინგა ამირანაშვილმა,** დირექტორის მოადგილეებმა: **ქეთევან ხაბულიანმა, თათია გურგენიძემ** და **ხათუნა კოვზირიძემ,** პედაგოგებმა.

**„მადლობა თქვენ იმ ლამაზი დღეებისათვის, რომელიც „თამარიონს“ აჩუქეთ!“** – ასე მიმართა კურსდამთავრებულებს დირექტორმა.

რაოდენი ურთიერთსითბო, ურთიერთსიყვარული, ურთიერთგაგება და ურთიერთნდობაა ამ ერთ წინადადებაში.

ახლა დავაკონკრეტოთ სკოლის წარმატებები: ოქროს მედლებზე დაამთავრეს სკოლა **ბახვა დავლაშელიძემ, გიორგი ყარეგიშვილმა** და **ანა შველიძემ;** ვერცხლისაზე – **ბესარიონ მეკინოლოვმა, ვიქტორია ბახტურიძემ** და **ანა შველიძემ.**

შარშანწინ გამართულ ეროვნულ ოლიმპიადაში (სამოქალაქო განათლება) **რატი კობახიძემ** გაიმარჯვა და განათლების სამინისტრომ, შემეცნების მიზნით, იგი ერთი თვით ინგლისში გაგზავნა; შარშან ასეთსავე ოლიმპიადაში იმარჯვა **ბაჩუკი დალაქიშვილმა** (ბიოლოგია) და ისიც ინგლისში მიავლინეს; წლეულს კვლავ ბაჩუკიმ გაიმარჯვა და ამჯერად თეირანში „განამწესეს“; გოეთეს უნივერსიტეტის კონკურსში – **„ხიდი განათლებისკენ“** (გერმანულ ენაში) **ლუკა ქორიძე** რჩეულთა 25-ში მოხვდა. ამ კონკურსში ამიერკავკასიის ქვეყნებია ჩართული და ყველა მონაწილიდან 25 საუკეთესოს არჩევენ. ლუკა (X კლასი) ორი წელიწადი უფასოდ ისწავლის გოეთეს უნივერსიტეტში. შემდეგ კი უგამოცდოდ ჩაირიცხება გერმანიის უმაღლეს სასწავლებელში. ლუკა **„ტვინების ბრძოლაში“** სკოლის ნაკრების კაპიტანიცაა. გუნდმა ორჯერ გაიმარჯვა ამ პრესტიჟულ შეჯიბრში.



კეთილი და პატიოსანი. რა სჯობს გამორჩეული მოსწავლეები რომ ჰყავს სკოლას, მაგრამ რამდენიმე წარმატებული ყმაწვილი სულაც არაა სკოლის საერთო წარმატების მაჩვენებელი. **„თამარიონში“** 500 მოსწავლეა და მთლიანად მათი მომზადების დონეა სკოლის მუშაობის ხარისხის განმსაზღვრელი.

აი, **„თამარიონის“** საერთო წარმატების უტყუარი დასტური: CAT-ის, ანუ გამოსაშვებ გამოცდებზე არავინ ჩაჭრილა!

შარშან გამოცდების საშუალო მაჩვენებელი 9,5 ქულა იყო!

და ასეთი მაჩვენებელი იმ ფონზე, როცა საჯარო სკოლებში, ჩვენდა სამწუხაროდ, ლამის უვიცობის დავლურია!

სწორედ ამ სავალალო მდგომარეობის შესანიღბავად შემოიღეს ე. წ. თამასა. უპასუხებ 15 შეკითხვას და თავისუფალი ხარ! ვინ რად დაგიდევთ კურსდამთავრებულთა ცოდნას. სადღაა მოტივირება?! არავითარი – გადალახა თამასა. ესაა და ეს! ამით ხომ ზარმაცს უფრო აზარმაცებენ, სწავლის მოსურნეს კი სწორედ სწავლის ხალისს უკარგავენ! ხოლო უწიგნურნი,



ეროვნულ ცნობიერებას მოკლებულნი ძალზე ადვილი სამართავნი არიან.

**„თამარიონს“** მივუბრუნდეთ. ეს მისი 21-ე გამოშვებაა და ყველა კურსდამთავრებული სტუდენტი ხდება! გრანტებს კურსდამთავრებულთა 60-70% იღებს.

შეწყობილად, მიზანმიმართულად მუშაობს ყველა საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის (ხელმძღვანელი – **შორენა გავაშელი);** მათემატიკისა **(მაია ბარნაველი);** საბუნებისმეტყველო **(ნინო მოლაშხია);** უცხო ენებისა **(შორენა რეხვიაშვილი);** დაწყებითების **(ზაირა კერესელიძე);** სპორტისა და ესთეტიკისა **(ნატო აბრამიშვილი).**

სკოლაში გაძლიერებულად ისწავლება **ქართული ენა** და **ლიტერატურა, ინგლისური** და **მათემატიკა.** ინგლისურის ყოვლად არაჯანსაღი ბუმი კია, მაგრამ მშობლიური ენა და ლიტერატურა გაძლიერებულად ისწავლებოდეს, მხოლოდ **„თამარიონში“** ვნახე. ეს სწორედ ის ქვაკუთხედია, რაზეც იგება მთლიანად სკოლის მისია.

**„თამარიონს“** გამოცდილი დირექტორი, ქალბატონი **გულნარა კვიციანი** უდგას სათავეში. მაგრამ დირექტორობა თანამდებობაა. იგი, უპირველესად, პედაგოგია. პედაგოგია განათლებით, გამოცდილებითა და უმთავრესით – მრწამსით. როცა სათავე წმინდაა, წყაროც ანკარა მიედინება... დიდია პიროვნების როლი ყოველ საქმეში. მით უფრო, ისეთ ეროვნულსა და სახელმწიფო მნიშვნელობისაში მომავალი თაობის აღზრდა რომ ჰქვია. ცხადია, ასეთი პიროვნება მხოლოდ ღირსეულთ ამოიყენებს გვერდში. ამიტომაა **„თამარიონი“** ასე თითქმის დაუჯერებლად წარმატებული – **ყველა კურსდამთავრებული სტუდენტია, გამოსაშვები გამოცდების საშუალო ქულა 9,5** და ეს ზღვარი სულაც არ არის – **„თამარიონი“** აუცილებლად დიდი წარმატებით გადალახავს ნებისმიერი სიმაღლის თამასას.

დაბოლოს, საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავს მიუძღვნეს საოცარი სიყვარულით, ქართული სულით გამთბარი, ორიგინალური ზეიმი: ყოველმა კლასმა წარმოადგინა ჩაცმულობით, ტრადიციებით, ცეკვა-თამაშით, სიმღერებით, ისტორიით საქართველოს ყოველი კუთხე. **სიმბოლურად, სრულიად საქართველო გაერთიანდა „თამარიონში“ ისე, როგორც წმიდა მეფე თამარ შვიდმნათობიერის ჟამს იყო ძალუმად შეკრული, ერთიანი და განუყოფელი.**

**ინებოს უფალმა, მართლაც მოგვასწროს ჭეშმარიტად თავისუფალ, მართლმადიდებელ, გამთლიანებულ საქართველოს. ეს დიდებული ზეიმი კი სწორედ ამის საწინდარი ყოფილიყოს!**

**კონსტანტინე გურგენიძე**

წარმატებით დამთავრებული სასწავლო წელი

# როცა კოლექტივი ძლიერი და შემოქმედია



**უვიცობა,** დილეტანტობა ყველა დარგში დამღუპველია, მაგრამ განსაკუთრებით სავალალო განათლების სფეროშია, რადგან აწმყოს ხომ ღუპავს და ღუპავს და მომავალსაც უფსკრულისკენ მიაქანებს.

ამიტომაა დასანახი და დასაფასებელი განათლების სისტემაში მომუშავე ყოველი პროფესიონალი. მათ მხრებზე დგას უსათუთესი და სწორედ რომ ხელიხელსაგოგმანებელი საქმე – სამშობლოსათვის მცოდნე, ზნეობრივად მდგრადი, პატრიოტი თაობების აღზრდა.

თბილისის 36-ე საჯარო სკოლის 39-ვე პედაგოგს სრულად აქვს შეგრძნობილი ეს დიდი მისია და მათი ძალისხმევა სწორედ ზემოთქმულისაკენაა მიმართული.

სკოლის 7-ვე საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის (ხელმძღვანელი – **მზია ტეტუნაშვილი);** მათემატიკისა **(ნონა სებისკვერაძე);** დაწყებითისა **(ნატალია**



**კიწმარიშვილი);** ბუნებისმეტყველებისა **(ანზია ღვინაძე);** უცხო ენებისა **(ნონა ღარიბაშვილი);** საზოგადოებრივ მეცნიერებათა **(მანანა კიკალეიშვილი);** სპორტისა და ესთეტიკისა **(ნანა წიკლაური)** ყველა პედაგოგს მოიცავს. შემუშავდა და სასწავლო წლის ნამძილზე ხორციელდებოდა მათი საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები. სახელდობრ: საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნების სწავლების კოორდინირება; ინტეგრირებული და თავისუფალი გაკვეთილების ჩატარება; პედაგოგთა პროფესიული განვითარების გზების დასახვა; წარმატებების წინაპირობების განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა.

მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი პროფესიული განვითარების სქემაში და განუხრელად ზრუნავენ თვითგანვითარებაზე. დირექცია ყოველმხრივ უწყობს ხელს პედაგოგთა პროფესიულ ზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

ეს განაპირობებს მასწავლებელთა უწყვეტ პროფე-



სიონალურ განვითარებასა და ურთიერთთანამშრობლობის კულტურის ამაღლებას, საბოლოოდ კი, სწავლების ხარისხის განუხრელ გაუმჯობესებას.

მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსსა თუ ეროვნულ ოლიმპიადებში, რისი დასტურიც მრავალი ჯილდო და სიგელია. მოქმედებს სამოქალაქო განათლების კლუბი; დამატებით **უფასოდ ისწავლება ისტორია, ფიზიკა, ქიმია.**

წლეულს ერთი ოქროს მედალოსანი ჰყავთ – **მარიამ თეთრუაშვილი**, მაგრამ რაოდენობა მაინცდამაინც ხარისხს არ განაპირობებს. იყოს ერთი, მაგრამ – ნაღდი!

უცნაურია განგება – ადამიანს ხშირად სწორედ თავის ადგილზე განამწესებს ხოლმე: 36-ე საჯარო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **მაია კვინიკაძემ** თსუ-ის ქიმიის ფაკულტეტზე ერთი წლით ადრე – 1986 წელს დაამთავრა ჟურნალისტიკის მეორადი ფაკულტეტი და ერთხანს გაზეთ **„ახალგაზრდა კომუნისტში“** მუშაობდა (გავიხსენეთ კოლეგები), მაგრამ სწორედ განგებამ ინება, რომ განათლების სისტემაში გადასულიყო. თანაც, ყოვლადსაფუძვლიანად. რატომ – საფუძვლიანად?

თავად განსაჯეთ: 114-ე სკოლის ქიმიის მასწავლებელი ხარაგაულის რაიონის სოფელ ქვების არასრული საშუალო სკოლის დირექტორად დააწინაურეს; იქიდან თბილისის 131-ე სკოლის დირექტორად გადმოიყვანეს; შემდეგ 79-ე სკოლაში ასწავლიდა დაწყებით კლასებს, 2014 წლიდან კი 36-ე სკოლის დირექტორი და უფროსი მასწავლებელია.

აი, ამიტომაც ვთქვი, სრულიად საფუძვლიანად-მეთქი. დაინახეს და დააფასეს ახალგაზრდა სპეციალისტის ცოდნა, ნიჭი, მონდომება, პედაგოგიური ჟინი და ასე დააწინაურეს. თანაც, ქალბატონმა მაიამ გადამზადებაც გაიარა და ახლაც ასწავლის დაწყებით კლასებს. სწორედ ამაზეა თქმული ადამიანი თავის ადგილზეო.

დამთავრდა კიდევ ერთი სასწავლო წელი. საზეიმოდ გააცილეს კურსდამთავრებულები. სკოლამ საფუძვლიანი ცოდნა მისცა მათ, მაქსიმალურად მოამზადა მომავლისათვის.

და კიდევ ერთი პერიოდი დასრულდა: IV-კლასელებმა დაწყებითი განათლება დაამთავრეს. აღარ ეყოლებათ ერთი პედაგოგი, ის, ვინც საფუძველშივე აზიარა ცოდნას, სწორ კალაპოტში წარმართა მათი აღზრდა.

ორ პარალელურ კლასს გამოცდილი პედაგოგები, ქალბატონები: **რუსუდან მერკვილაძე** და **ციური ხუჭუა** უძღვებოდნენ.



რაოდენ რთულია ამდენი განსხვავებული ხასიათის, შესაძლებლობების პატარის დაინტერესება, დისციპლინისთვის მიჩვევა, სწავლების ისე წარმართვა, რომ ყმაწვილებმა ხალისიანად, ლამის თამაშ-თამაშ შეიყვარონ სწავლა. საამისოდ მათი ნდობა უნდა მოიპოვო, „გაბავშვდე“ – აღსაზრდელთა თვალითაც შეხედო სამყაროს, აღქმის მათი უნარი გაითავისო, პედაგოგიც იყო, უფროსი მეგობარიც და დედობრივი ალალი სითბო და სიყვარული განაცდევინო.

სწორედ ამას მიაღწიეს, ასე ასწავლეს და აღზარდეს პატარები ქალბატონმა **რუსუდანმა** და ქალბატონმა **ციურიმ.**

რამდენი რამ მოასწრო ქალბატონი **რუსუდანის** კლასმა 4 წელიწადში. სწავლასთან ერთად, უამრავი მხიარული და გამიზნული ღონისძიება. ისეთი, პატარებს რომ ახალისებდა და ასწავლიდა კიდეც: თეატრალური წარმოდგენები, ქართული ხალხური ცეკვები და სიმღერები, ხალხური საკრავები, დედაენის დღე დედაენის ძეგლთან და უდიდესი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის ღვაწლის ყმაწვილებისთვის მისაწვდომად წარმოჩენა, ექსკურსიები მთაწმინდის პანთეონში. ბავშვებმა ნახეს და მოისმინეს რამდენი სახელოვანი შვილი ჰყოლია საქართველოს. ეს ხომ სამუდამოდ დააჩნდება პატარების სულსა და გულს.



დაამზადეს ფოტოალბომი – „რანი ვიყავით და რანი ვართ“, რაც, ფოტოებითურთ, I-დან – IV კლასის ჩათვლით განვლილ გზას ასახავს.

ქალბატონმა **ციურიმ** აღსაზრდელებს არც შემეცნებითი ექსკურსიები მოაკლო (ცხადია, სწავლა უპირველესია), არც სხვა რომელიმე აღმზრდელობით-დიდაქტიკური ღონისძიება, მაგრამ აქცენტი ყმაწვილების ლიტერატურული ნიჭის გამოვლენა-განვითარებაზე, სათანადოდ წარმართვასა და ბავშვების შემოქმედების გამომზეურებაზე იყო გადატანილი. მშობლიური ლიტერატურის, ისტორიის უცოდინრად (ერთი-მეორის გარეშე წარმოუდგენელია), როგორ გაზრდი მოქალაქეს, პატრიოტს?

საამისო საფუძველი კი რაც ადრიდანვე ჩაიყრება, მით უკეთესი პიროვნებისთვისაც და ქვეყნისთვისაც. ამიტომ იყო მრავალი შეხვედრა მწერალთა კავშირში, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ლიტერატურული საღამოები... ბავშვები უსმენდნენ პროფესიონალ მწერლებს, პოეტებს, თავის შემოქმედებას აცნობდნენ მათ.



ძალზე უწყობდა ხელს ამ დიდებულ საქმეს **ჯუმბერ ლეჟავას** აკადემია და მისი თავმჯდომარე ქალბატონი **გულნაზ ხარაიშვილი**. მხოლოდ ის რად ღირს, რომ აკადემიის გამოცემა ერთობ სოლიდურ ჟურნალ **„ათინათში“** ისტამბებოდა პატარების შემოქმედება.

გვჯერა, 36-ე საჯარო სკოლა, მომავალი სასწავლო წელს კიდევ უფრო უკეთესად წარმართავს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს და, შესაბამისად, უკეთესი მაჩვენებლებითაც დაასრულებს მას.

**კოტე სარალიძე**

პირველ კლასში გზას დაულოცავენ

# ზეიმები სრული სვლით 215-ე ბაგა-ბაღში



**დედაქალაქის** ბაგა-ბაღებში გამოშვებისა და საარდადეგო ზეიმების სეზონი დაიწყო. 215-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელები ამ ღონისძიებებში აქტიურად არიან ჩართულნი, თავიანთი შემოქმედებით მშობლებსა და მოწვეულ სტუმრებს თავს აწონებენ. პატარებს სასიამოვნო და დაუვიწყარ განწყობას უქმნიან აღმზრდელები და ბაღის მთელი კოლექტივი. ამიტომაც არის, რომ პატარებს აქ მიუხარიათ და მშობლებიც კმაყოფილები არიან.

„შენს მოსვლას კედლებიც ღიმილით ელიან", — ასეთი წარწერა ამშვენებს 215-ე ბაგა-ბაღის ფოიეს, სადაც პატარებს მართლაც განსაკუთრებული სიხარულით და სიყვარულით ელიან.

ბაგა-ბაღის ეზო მეტად მოწესრიგებულია, რომელსაც ამშვენებს სხვადასხვა სათამაშოები და მრავალფეროვანი მწვანე ნარგავები. შენობაში შესვლისთანავე, თვალში მოგხვდებათ შესანიშნავი დიზაინით გაფორმებული ინტერიერი და დერეფნები, რომელსაც ალამაზებს ათასგვარი ყვავილები, თვალსაჩინოებები, ნახატები, აპლიკაციები და სხვადასხვა ნაკეთობები. ეს ყველაფერი კი, აქაური მესვეურების ნახელავია, თვალსაჩინოებების განახლება წელიწადის დროების მიხედვით ხდება და ამ პროცესში, პედაგოგებთან ერთად, ცეროდენებიც მონაწილეობენ. გარემონტებულია სველი წერტილები, საბავშვო ოთახები, საძინებლები, საკონცერტო დარბაზი და სხვა. ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის ბატონი **კახაბერ გვანცელაძის** დახმარებით ბევრი რამ გაკეთდა, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა და ბაღი აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით. რაც შეეხება კვებას, როგორც სხვა ბაღებში, აქაც დაცულია კალორიულობა, ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა.

აქაურობას აშკარად ეტყობა მზრუნველი მენეჯერის ხელი. ბაღმა არაერთ წარმატებას მიაღწია, იგი დედაქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო საბავშვო დაწესებულებაა. აქ გუნდური მუშაობის პრინციპით იღვწიან. ყველა თანამშრომელი შესანიშნავად უგებს ერთმანეთს და არის მეგობრული ატმოსფერო. ისინი, სხვადასხვა ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ და აქ სულ შემოქმედებითი პროცესია. ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ პატარებს ვარდისფერი ბავშვობა ჰქონდეთ.





215-ე ბაგა-ბაღს გამოცდილი დირექტორი და ღვაწლმოსილი პედაგოგი **რუსუდან ცხვარაძე-ბირკაია** უძღვება იგი ოცდათექვსმეტი წელიწადია საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწეობს და დიდი დამსახურება მიუძღვის ამ სისტემაში. პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ყოველთვის გამოირჩეოდა კარგი მენეჯერული თვისებებით.

**რუსუდან ცხვარაძე-ბირკაია:** ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია – მასწავლებლობა. სპეციალობით ისტორიკოსი ვარ და თავდაპირველად, მუშაობა ჩემი პროფესიით დავიწყე. შემდეგ ამას მოჰყვა სკოლის დირექტორობა... ახლა კი, უკვე მეორე წელიწადია 215-ე საბავშვო ბაგა-ბაღს ვუდგევარ სათავეში. ამ მოკლე პერიოდში ამაღლდა ურთიერთობის ხარისხი, როგორც თანამშრომელთა, ასევე აღმზრდელ პედაგოგებსა და მშობლებს შორისაც. ჩვენ მტკიცედ შეკრული გუნდი ვართ, ერთობლივად ძალ-ღონეს არ ვიშურებთ პატარების კარგი აღზრდა-განათლებისთვის. აღსანიშნავია, რომ 215-ე ბაგა-ბაღის ადმინისტრაციის მუდმივი საზრუნავია – ჰყავდეს მაღალკვალიფიციური კადრები.ამისათვის განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე. ჩვენი საქმიანობის ძირითადი სფეროა: ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები, თემატური სწავლება, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა, ქცევის პოზიტური მართვა, ბავშვთა ძალადობის პრევენცია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მუშაობის პრინციპები. აგრეთვე, კვალიფიციური ორგანიზაციების მიერ მოწყობილი ტრენინგების გარდა, ბაგა-ბაღში ტარდება შიდა სემინარები. ერთმანეთს ვუზიარებთ მოწინავე გამოცდილებას. ჩემი დირექტორობის პერიოდში გარემონტდა კვების ბლოკი, სადაც ჰიგიენურ-სანიტარული მდგომარეობა მაღალ დონეზეა დაცული. შენობის მდგრადობა ამ ეტაპზე, დამაკმაყოფილებელია. ბაღის ფართი დიდია და იტევს 600-მდე აღსაზრდელს. გვყავს 12 ჯგუფი და თითოეულის განკარგულებაში 2 დიდი სივრცეა, როგორც საალმზრდელო, ასევე საძინებელი ოთახები. ცალ-ცალკეა განლაგებული ცენტრები, რომელებიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. ასევე, გვაქვს მესამე სივრცე, სადაც სასადილოა მოწყობილი. ყოველ ჯგუფს გააჩნია თავისი სველი წერტილი. ბაგა-ბაღს აქვს სააქტო დარბაზი, სადაც მიმდინარეობს როგორც ზეიმები, ასევე საინტერესო შეხვედრები. აღსაზრდელებისთვის დიდი ეზო, ძალიან მნიშვნელოვანია. აქ დამონტაჟებულია თანამედროვე ატრაქციონები. მადლობას ვუხდით ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელს ბატონ **კახაბერ გვანცელაძეს,** რადგანაც მისი თანადგომით ბაღში ბევრი რამ გაკეთდა, საალმზრდელო პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. დაისახა რა მიზნად, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ საერთაშორისო დონის საბავშვო ბაღების ჩამოყალიბება, სულ უფრო და უფრო იზრდება თითოეული აღმზრდელის, სპეც პედაგოგის, ფსიქოლოგის და ლოგოპედის გადამზადების პროცესი. ასევე, ვზრუნავთ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. აღმზრდელები ჩაბმულნი არიან პროგრამულ ტრენინგებში. აღნიშნულის განსახორციელებლად, გვერდში გვიდგას ისნის რაიონის პროფკავშირული ორგანიზაცია ქალბატონ **ქეთევან ხეტეშვილის** ხელმძღვანელობით. მისი თაოსნობით არაერთი პროგრამული ტრენინგი ჩატარდა.



ბაგა-ბაღი მუდმივად უზრუნველყოფილია სამუშაო მასალითა ლიტერატურით და სათამაშოებით. თითოეულ ჯგუფში არის შესაბამისი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. პროგრამის მიხედვით კი, გამოყენებულია



თემატური სწავლება – როგორც ერთ-ერთი, ყველაზე თანამედროვე და ეფექტური მეთოდი. უნდა ითქვას, რომ ბაღებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელო-

გაგრძელება მე-8 გვ.

171-ე სკოლა – დასავლური სტანდარტების შესატყვისად

# სიახლეებს გაბედულად ნერგავენ



– **შეუქმნას** თითოეულ მოსწავლეს უსაფრთხო და მზრუნველი გარემო, იზრუნოს არამარტო მაღალ აკადემიურ მაჩვენებელზე, არამედ განუვითაროს პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი, ასწავლოს მათ განსხვავებული აზრის პატივისცემა, ხელი შეუწყოს, შეითვისოს და საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენოს დასავლური ღირებულებები და ფასეულობები – აი, ასეთია ძირითადი მისია, თბილისის 171-ე საჯარო სკოლისა, რომელიც დედაქალაქში ერთ-ერთი მოწინავეა და მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული.

აქ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი შესანიშნავად მიმდინარეობს, რაც დირექტორის **ქეთევან ქსოვრელის** დამსახურებაა. მას მხარში უდგანან მაღალკვალიფიციური კადრები, რომელთა უმრავლესობა სერთიფიცირებულია.

ქალბატონი **ქეთევანი** სერთიფიცირებული მასწავლებელია და წარმატებულ მენეჯერობასთან ერთად, აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა. იგი ოთხი წელიწადია სკოლას უძღვება და ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გააკეთა: მოაწესრიგა ინფრასტრუქტურა და სასწავლო პროცესში ბევრი სიახლე დანერგა. ძალიან უყვარს სკოლა და ამიტომაც, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბავშვებმა თავი კომფორტულად იგრძნონ და შესაბამისი ცოდნა მიიღონ. მუდამ შემოქმედებით ძიებაშია და სკოლის ტრადიციას ნოვაციით ამდიდრებს.

171-ე სკოლა სხვა სასწავლებელთაგან გამორჩეულია ინტელექტუალური ძალების სიმრავლით. წლების მანძილზე, მოსწავლეების მიერ მიღებული სიგელები და სხვა წარმატებები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. სკოლის კურსდამთავრებულები მუდამ გამოირჩეოდნენ აქტიურობით — ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობით. აქაურ მესვეურებს ეამაყებათ, რომ მათი კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

აქ სისტემატურად იმართება სხვადასხვა შემოქმედებითი აქტივობები. ახლახან პირველკლასელების საზეიმო ღონისძიება გაიმართა. პატარებმა წაიკითხეს ლექსები და შეასრულეს ქართული სიმღერები. ასევე, საინტერესოდ აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავი. აქტიურად მონაწილეობდნენ მე-6, მე-8 და მე-10 კლასის მოსწავლეები. პედაგოგების **ნანა კუჭუხიძის, ქეთი ვაჩეიშვილის** და **მზია ჯინჭარაძის** დახმარებით, ბავშვებმა მოამზადეს თემები – ისტორიულ- ფაქტობრივი მასალების გამოყენებით, წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს მუსიკალური ნომრები და დიდ ეკრანზე სლაიდ-შოუს სახით აჩვენეს ვიზუალური კადრები. სკოლაში, წარმატებით ფუნქციონირებს სკოლის თვითმმართველობა და ასევე, მშობელთა კომიტეტი.





მშობლები ჩართულები არიან სასწავლო ღონისძიებებში. მაგალითად, **„დედამიწის დღესთან“** დაკავშირებით, სკოლის ეზოს გამწვანებაში მოსწავლეებთან ერთად მშობლებიც მონაწილეობდნენ. ერთ-ერთი მე-2 კლასელი მოსწავლის მშობელმა კი, სკოლას ნერგები გადასცა საჩუქრად.

171-ე სკოლის მოსწავლეები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსებში და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ოლიმპიადებში, საიდანაც სიგელებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან. მაგალითად, ბიოლოგიის ოლიმპიადაში გაიმარჯვა მე-11 კლასელმა **ნინო დადვანმა**, რომელმაც ასევე, ქართული ენისა და ლიტერატურის წერით ტურზე წარმატებებს მიაღწია. ხოლო, მე-9 კლასელი **ანანო დადვანი „ეტალონის“** მე-3 ტურის გამარჯვებულია. განათლების სამინისტროსა და საპატრიარქოს ერთობლივ პროექტში – **„დავითიანი“** ჩართულები არიან წარჩინებული მე-9 კლასელი მოსწავლეები: **მარიამ შელია** და **ნანა ვაშაკიძე**. ასევე, მდგრადი განვითარების პროექტში - **„ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2019“**, სკოლის ორმოცამდე მოსწავლეა ჩართული. შინაარსიანად მიმდინარეობს მეცნიერების საგაკვეთილო პროცესი – პედაგოგი **მედეა მიქაძე.** მოსწავლეებისთვის საინტერესოა თემა: **„ხერხემლიანები“,** სადაც საფუძვლიანად ისწავლება ცხოველთა კლასიფიკაცია და გამოყენებულია, როგორც სახელმძღვანელო, ასევე ინტერნეტ ინფორმაცია, შემდეგ კი, სლაიდ-შოუს სახით ხდება ჩვენება. ხშირად ეწყობა გასვლითი გაკვეთილებიც. სკოლაში ისწავლება საგანი -კინო ხელოვნება, რომლის პედაგოგია ჩემი კოლეგა, შესანიშნავი ჟურნალისტი **გოჩა ყანჩაშვილი.** ბატონი გოჩას ინიციატივით, მოსწავლეები ხშირად სტუმრობენ თეატრალურ უნივერსიტეტს, ესწრებიან დოკუმენტურ კინო-ჩვენებებს და საუბრობენ ხელოვნებაზე. საინტერესოდ წარიმართა განხილვა დოკუმენტური ფილმისა **დიმიტრი შევარდნაძეზე,** სადაც **გოჩა ყანჩაშვილთან** და მოსწავლეებთან ერთად, თეატრალური უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის კათედრის ხელმძღვანელი **ზვიად დოლიძეც** იყო ჩართული.

მე-12 კლასელმა მოსწავლეებმა კი, წარმატებით გაიარეს საატესტატო გამოცდები, საიდანაც გამოიკვეთა 6 ოქროს მედალოსანი, ესენია: **ელენე ლომთაძე, ლიზი ტულუში, ანამარია ჯავახიშვილი, მარიამ ქლიბაძე, კესო მანჯგალაძე** და **თათია ამაშუკელი.**









სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა წიგნიერების დონის ამაღლებას. ბიბლიოთეკარი **მაია პიპინაშვილი** მოსწავლეებს წიგნის სიყვარულს უნერგავს და სისტემატურად აცნობს მათ ლიტერატურულ სიახლეებს. აქ ხშირად იმართება საინტერესო შეხვედრები და ლიტერატურული საღამოები.

აღსანიშნავია, რომ 171-ე საჯარო სკოლაში ყოველთვის მოღვაწეობდა პედაგოგთა ძლიერი გუნდი. ისინი გამოირჩეოდნენ პრინციპულობითა და საგნის უზადო ცოდნით, აღსაზრდელებთან სანიმუშო ურთიერთობით. ეს ხომ დიდი ძალაა!

როგორც უკვე აღვნიშნე, სკოლა მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. აქაური მესვეურები ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისთვის, რომ ღირსეული, განათლებული და თავისუფალი მოქალაქეები აღუზარდონ ქვეყანას. სასწავლო წელი წარმატებით დაასრულეს.

**მზია გოგოძე**

# პირველ კლასში გზას დაულოცავენ

დასაწყისი მე-6 გვ.



ში თავმოყრილი სხვადასხვა აქტივობები, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს-აღსაზრდელებს ცალკეული უნარები განუვითაროს. განსახორციელებელ აქტივობათა მთელი პაკეტი მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

წიგნიერება, მეტყველება, ხელოვნება, სამაგიდო აქტივობები, მუსიკა და მოძრაობა, მეცნიერება, სენსორული აქტივობები და კულინარია. კონსტრუქციული აქტივობები და დრამატული აქტივობები. ჩვენთან ყოველდღიურად ხორციელდება შესაბამისი აქტივობები და შექმნილია ვიდეო მასალა, სადაც ასახულია პატარების მუშაობა. ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიის მიხედვით, ხორციელდება სასწავლო საალმზრდელო პროცესი. ჩვენი მთავარი ამოცანაა: **ჯანსაღი და ბავშვის საჭიროებებზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, რასაც შესანიშნავად ვახერხებთ.**

როგორც უკვე აღინიშნა, ბაღის კოლექტივი ორგანიზებულად მუშაობს და ზრუნავს ცუგრუმელების ჯანმრთელობა – უსაფრთხოებაზე. ისინი, ყველა პირობას უქმნიან ბავშვებს ფიზიკური და ემოციური განვითარებისათვის. წახალისებულია მშობლების ჩართულობა, როგორც საგანმანათლებლო, ასევე სამენეჯმენტო სფეროში. აქ ხელს უწყობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ინკლუზიურ პროცესს, რომლის სწორად მართვას, აღმზრდელ მასწავლებლებთან ერთად ხელმძღვანელობენ: სპეცპედაგოგები **ცირა ვახანია** და **ირმა მდინარაძე**, ფსიქოლოგი **ნინო ნადირაშვილი** და ლოგოპედი **ლალი ბილანიშვილი.**



როგორც ყველა ბაგა-ბაღში, ჯგუფები ასაკის მიხედვით არის დაკომპლექტებული. **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა წარმატებით ხორციელდება და 182 პატარა სკოლისთვის კარგად არის მომზადებული.

215-ე ბაგა-ბაღი გამოირჩევა სიმყუდროვით, კომფორტით, რაც მთავარია, მშობლები და ბავშვები კმაყოფილნი არიან. აღსაზრდელების შემოქმედებითი უნარების განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევენ და ეფექტიანად მუშაობენ სასწავლო-საალმზრდელო პროგრამის მიხედვით.

დირექტორი კმაყოფილია მისი მოადგილის **ლელა გიორგაძის**, მეთოდისტის **ნანული როსტიაშვილის,** სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის **ბელა ბერიძის,** ჯანმრთელობისა და ჰიგიენის კოორდინატორის **გიული სალთხუციშვილის** და საქმისმწარმოებლის **რუსუდან ხვიჩიას** თავდაუზოგავი შრომით, რომლებიც კოორდინირებულად მუშაობენ.



ბაღს ემსახურებიან მუსიკის ჩინებული მასწავლებლები: **თამარ აბაშიძე** და **ლიანა ლალიაშვილი,** ასევე, ცეკვის პედაგოგი **ნატალია ზარდიაშვილი**. ისინი აქტიურად არიან ჩაბმულნი სასწავლო შემოქმედებით საქმიანობაში. აქ ხშირად იმართება სხვადასხვა სახის შემოქმედებითი ღონისძიებები და სეზონური ზეიმები. მაგალითად, საშემოდგომო, საახალწლო (კარნავალი, **„თოვლის დედოფალი“**), საგაზაფხულო **(სარვამარტო, ყვავილები, გაზაფხული** და **დედა, ყვავილების ზეიმი, ზაფხულის ფერები** და ა.შ). ამჟამად კი, **„სასკოლო მზაობის“** ჯგუფები ემზადებიან გამოსაშვები ღონისძიებისათვის. როგორც ზემოთ ვთქვით, ეს ცუგრუმელები სექტემბერში პირველი კლასის მერხებს მიუსხდებიან.



კვება შესანიშნავია, დაცულია ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა. პატარებს მრავალფეროვან კერძებს უმზადებენ მზარეული: **ეთერ ვაშაკიძე** და მისი დამხმარეები: **ლანა ვაშაყმაძე** და **თეა წიკლაური.**

აღსაზრდელებზე დედასავით ზრუნავენ პროფესიონალი აღმზრდელები: **ფიქრია ჯანელიძე, ნანა ბოლაშვილი, ლალი სახლთხუციშვილი, თეა სარიშვილი, მაია მიგრიაული, ნინო ყანდაშვილი, მაია ძამაშვილი, ნინო ქავთარაზე, ნონა შუღლიაშვილი, მზია ნუცუბიძე, მარინა ასლამაზოვა** და **ტასო ჭიკაიძე.** მათ გვერდში უდგანან თანაშემწეები: **ნინო ჩაჩანიძე, მერი ქობულაშვილი, სოფიო ბანძავა,თეოლინა წურწუმია, ია ტვილდიანი, თამარ მეხრიშვილი, ნინო საღინაძე, მაია პატარკაციშვილი, თეა ლემონჯავა, ქეთევან მელქაზე, ბელა სონგულია, ნინო ჯანელიძე-შაფათავა, თეოლინა ხელაია, თამარ ცანავა, სოფო ჯანელიძე** და **ლალი კაკაურიძე.**



ბაგა-ბაღის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ტექნიკურ პერსონალსაც, ესენია: **გულნარა გუთნიაშვილი, თინათინ შპეტიშვილი, ლამარა როსტომაშვილი, ანი ჩიფჩიური, ნანული იმერლიშვილი, ნუნუ გიორგაძე, ლიკა ვაშაკიძე, სალომე ვაშაკიძე, თამილა დავითაძე, ლალი აფციაური, გაიანე მანავლიშვილი, ალვარდ კამალიანი, თამრიკო ბარხუდაროვი, რამაზ ცანავა, მურად მახნიაშვილი, ვლადიმერ ჩიფჩიური, გივი რუხაძე** და **გიორგი კოხრეიძე.**

215-ე ბაგა-ბაღის თანამშრომლებს ერთმანეთთან მეგობრული და თბილი დამოკიდებულება აქვთ, რაც მთავარია, კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ბაგა-ბაღი დღითიდღე უფრო პოპულარული ხდება. იწყება ზაფხულის არდადეგები. მის მხიარულად, ხალისიანად გატარებას გისურვებთ, ცეროდენებო!

**მზია გოგოძე**

114-ე ბაგა-ბაღი მთელი ქვეყნის მშვენებაა

# ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღ თაობებს ზრდიან



**წყნეთის** ხსენებაზე, უპირველესად, აგარაკი, სუფთა ჰაერი და დასვენება წამოტივტივდება ცნობიერებაში, მაგრამ წყნეთის 114-ე ბაგა-ბაღის მუშაკებს დასასვენებლად სადა სცალიათ? მათ ხომ ამქვეყნად უმნიშვნელოვანესი, უსათუთესი საქმე აბარიათ – პატარების სწავლა-აღზრდა. ასე მოკლედ კი გამოითქმება, მაგრამ მის მიღმა ურთულესი, დროში გაჭიმული მრავალმხრივი პროცესები დგას და ყოველი ხინჯი, თითქოსდა უმნიშვნელო ხარვეზი შემდეგ და შემდეგ ყმაწვილების ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ თუ ზნეობრივ ძალზე რთულ პრობლემებად შემოგვიბრუნდება. შემოგვიბრუნდება ჩვენ, ყველას, მთელ ქვეყანას, რადგან ერთხელ მრუდედ წასული ნერგის გასწორება მერე და მერე, უფრო და უფრო ძნელდება, ხშირად კი შეუძლებელიც ხდება. ოჯახთან ერთად, სწორედ ბაგა-ბაღებში ეყრება საფუძველი გოგო-ბიჭების სხეულებრივ თუ სულიერ ჯანმრთელობას. ეს სრულად აქვს შეგრძნებული 114-ე ბაგა-ბაღის მთელ პერსონალს და, აბა, როგორღა მოიცლიან წყნეთის სიკეთით სარგებლობისთვის?

აღსაზრდელები რომ სწორ გზაზე დააყენო და ასე ატარო ბაღის დამთავრებამდე, ყოველი მათგანის სულსა და გულს უნდა ჩასწვდე. საამისოდ ჯერ მათი ნდობა მოიპოვო. უპირველესად, პირადი მაგალითით – თავად უნდა იყო სანიმუშო ყოველდღიურობაში. 114-ე ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგთა ძალისხმევა სწორედ აქეთაა მიმართული, მაგრამ ეს თუ თვითმიზანი იქნა და არა შინაგანი მრწამსი და ბუნებრივად გამომდინარე ქცევა, პატარების ალალი შეგრძნება უმალ აღიქვამს სიყალბეს. ამიტომ მოწოდებით უნდა იყო აღმზრდელი, პედაგოგი. თუ ბავშვებად არ გარდაიქმნებით, ვერ მიაღწევთ ცათა სასუფეველსო, გვმოძღვრავს უფალი და ბაგა-ბაღის პედაგოგები ცდილობენ „გაბავშვდნენ“ – აღსაზრდელთა თვალით შეხედონ სამყაროს, მათი აღქმისა და ხედვის უნარი გაითავისონ, მათი სიხარულითა და ტკივილით იცხოვრონ, ერთდროულად აღმზრდელებიც იყვნენ და – მეგობრებიც.

სწორედ ასე მუშაობენ, ასე ესმით თავისი მისია 114-ე ბაგა-ბაღის აღმზრდელებს: **მაია კოპაძეს, ნანული გალუაშვილს, ეკატერინე ციცაგს, ლელა ზურაბიშვილს, ნათია კახობერაშვილს, დალი წიკლაურს, ეკა ოძელაშვილს, ვერიკო მაჩხანელს, ნინო ზურაბიშვილს, ნანა ჯავახიშვილს, ჯუნა ოძელაშვილს, თამარ ჩიტაურს.** მათ თანაშემწეებს: **თამარ ავაზაშვილს, იზა ხიდეშელს, მერი დელიბაშვილს, მაია ოძელაშვილს, მაია ჩოხელს, ნათია ალექსაიას, რუსუდან მათიაშვილს;** ფსოქოლოგ **გვანცა ნეკერაშვილს,** ლოგოპედ **მარინე თათულაშვილს,** ცეკვისა და მუსიკის მასწავლებლებს **ელენე მაისურაძესა** და **დალი შურღულაიას.**



შემოქმედებითად და მიზანმიმართულად მუშაობენ კოლექტივთან დირექტორის მოადგილე **მანანა ოძელაშვილი** და მეთოდისტი **ია მამამთავრიშვილი.**

ბაგა-ბაღში არ არის პირველი და მეორეხარისხოვანი საქმე. საბოლოო შედეგს მისი ყოველი რგოლის, სეგმენტის ურთიერთშეთანხმებული, ხარისხიანი მუშაობა განაპირობებს. ამიტომაა ერთობ მნიშვნელოვანი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის კოორდინატორის **ნონა შაყულაშვილის**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის **ქეთევან წიკლაურის**, საქმისმწარმოებლისა და მისი თანაშემწის: **ქეთევან მათიაშვილისა** და **მარიამ ჯავახიშვილის**, მზარეულის **ელენე ხახუტაშვილის**, მისი თანაშემწეების: **ციური წიკლაურისა** და **ირმა გოგიაშვილის,** ჭურჭლის მრეცხავების**: მაია გამცემლიძის მარინე ოძელაშვილის, გიული ხაბარელის, თინათინ კელენჯერიძის**; დამლაგებლების: **მარინა შალიკაშვილის, მარინე შახულოვის, მზია ქობულაშვილის, თეონა შახულაშვილის, ნინო ამირანაშვილის, თამარ მატიაშვილის;** დარაჯების: **გარეგინ მატიაშვილისა** და **ლევან მათიაშვილის,** მეუშის **გიორგი მამუკაშვილისა** და მებაღე **ლილი შახყულაშვილის** მონდომება და სიყვარული, რასაც ისინი ყოველდღიურად აქსოვენ საქმეში.

უცნაურია განგების გზები. მართლაც, სადაურსა სად მიიყვანს ხოლმე: 114-ე ბაგა-ბაღის დირექტორმა, ქალბატონმა **ნინო მამამთავრიშვილმა** 1995 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი. აბა, იმ ბნელ, ნგრევა-ყვლეფის ხანს აღმშენებლობას ვინ რად დაგიდევდათ?



რით დასაქმდებოდა შენებისთვის მოწოდებული სპეიალობის ახალგაზრდა? ასე დაიწყო მუშაობა ქალბატონმა ნინომ წყნეთის უდედმამო ბავშვთა სახლში უფროს აღმზრდელად, მაგრამ მანამადე სპეციალურ გამოცდაში 100-დან 95 ქულა მოიპოვა. ექვს თვეში ორი ტრენინგი გაიარა და ლიდერის სერთიფიკატიც მიიღო. ხომ წარმოგიდგენიათ, რაოდენ რთული, ფაქიზი და პასუხსაგები იყო მუშაობა (ამას მუშაობაც არა ჰქვია. უფრო – თანაცხოვრებაა) უპირველეს სიხარულს – ოჯახს მოკლებულ ყმაწვილებთან, რაოდენი გულის სითბო, მზრუნველობა იყო საჭირო ბავშვების გაყინული გულების გასალღობად. ქალბატონმა ნინომ ეს რომ შეძლო, ამას მისი სერთიფიკატებიც ადასტურებს, ბავშვების ის უშრეტი სიყვარულიც, რაც ჩემთან საუბარში გამოვლინდა და ისიც, როგორ ააწყო მან 114-ე ბაგა-ბაღის მუშაობა, სადაც 2015 წელს დანიშნეს დირექტორის მოადგილედ, შემდეგ დირექტორის მოვალეობას ასრულებდა. ახლა კი დირექტორია.



სახელდობრ, როგორ ააწყო?

ბაღში ოთხი ჯგუფი ჰყავდათ, ახლა კი ექვსია – 260 ბავშვი. მშობლებს შვილები ზემო წყნეთიდანაც და ახალდაბიდანაც დაჰყავთ აქ. ანუ, იციან სად, ვისთან მიჰყავთ, ვის ანდობენ შვილებს. ეს კი ძალზე ბევრს ნიშნავს.

არიან ერთმართველობის სენით შეპყრობილი დირექტორები. ვერ ხვდებიან, ამით როგორ ვნებენ საქმეს, ანუ არსაზრდელებს, როცა ხელქვეითთ ყოველგვარ ინიციატივას უკლავენ, გასაქანს არ აძლევენ. რა დაკარგვიათ მათ აღმზრდელობით დაწესებულებაში?!

ქალბატონ ნინოს კრედო პოლარულად განსხვავდება მათგან – ყოველი მუშაკი პასუხისმგებელია თავის საქმეზე. ინიციატივის, შემოქმედებითი თავისუფლება აქვთ მინიჭებული. დირექცია კი აკონტროლებს, ეხმარება, ყოველმხრივ უწყობს ხელს მათ პროფესიულ წინსვლას. ანუ, თუ არქიტექტურამ დაკარგა კარგი სპეციალისტი, განათლების სფერომ შეიძინა.



**„სასკოლო მზაობის პროგრამა“** ყველა ბაგა-ბაღისთვის ერთნაირია. მთავარი ესაა – როგორ მიუდგები მას, რამდენ შემოქმედებას ჩააქსოვ მასში, რომ ბავშვებმა ხალისიანად, თამაშ-თამაშ აითვისონ მასალა, როგორ გაამრავალფეროვნებ და გაათვალსაჩინოებ მას. ვნახე, ერთი ასეთი ახლადშეძენილი თვალსაჩინოება, ძალზე ხალისიანად, ცოცხლად რომ ასწავლის ბავშვებს – „მაღაზია“. ექსკურსიაზე ჰყავდათ პატარები სახანძრო დაცვის, პოლიციის განყოფილებებში, ამბულატორიაში. ბაღში ხომ უსაფრთხო გარემოა შექმნილი და ეს შემეცნებითი ექსკურსიები ერთგვარი თვალსაჩინო პროფილაქტიკაცაა – რა შეიძლება მოჰყვეს გადამეტებულ გაუაზრებელ ცელქობას.

სკოლისთვის მზაობის ყოველი თემის დასრულების შემდეგ შემაჯამებელი მეცადონეობები იმართება. მოწმდება, როგორ აითვისეს ყმაწვილებმა მასალა, რა ხარვეზებია და უმალ ისახება მათი გამოსწორების გზები.

წლეულს ბაგა-ბაღის სათანადოდ მომზადებული 69 „კურსდამთავრებული“ შეაღებს სკოლების კარებს.

კვება სრულად შეესატყვისება ბავშვთა ასაკობრივფიზიოლოგიურ თავისებურებებს. ადრე 2581 კალორია იყო. ახლა 2292-ია, მაგრამ ეს შემცირება ფუნთუშეულის ხარჯზეა. სხვა პროდუქტების ულუფა კი, ვთქვათ, ხორცისა, გაიზარდა. ქალბატონი ნინო ემადლიერება შპს „ნილიას“ – პროდუქტების მიმწოდებელს. ყველაფერი ხარისხიანია, მაგრამ, თუ რამე დავიწუნეთ, ან ოდნავ ნაკლებია, მყისვე შეცვლიან და გვიმატებენო.

ბაგა-ბაღს დიდ ყურადღებას აქცევს ბაგა-ბაღების სააგენტო (უფროსი **კახაბერ გვანძელაძე).** ქალბატონ ნინოს თქმით, ნებისმიერი პრობლემა სწრაფად და ხარისხიანად წყდება; ნებისმიერი საღი აზრი, ინიციატივა უმალ ჰპოვებს გამოძახილსა და მხარდაჭერას.




აი, მოკლედ წყნეთის 114-ე ბაგა-ბაღის შემოქმედებითი, მიზანმიმართული კოლექტივის შესახებ. ცხადია, ერთი საგაზეთო წერილი სრულად ვერ მოიცავდა ბაღის მუშაობის ყველა მხარეს, მაგრამ ზემოთქმულიც საკმარისია, რომ თვალნათელი გახდეს – წყნეთის 114-ე ბაგა-ბაღში ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღ ყმაწვილებს ზრდიან.

**კონსტანტინე გურგენიძე**

216-ე ბაგა-ბაღი – ახალი პროგრამების კვალდაკვალ

# ბულბულის სტვენა, შაშვის გალობა და დედობრივი მზრუნველობა







**ბაგა-ბაღის** საქმიანობის სწორად წარმართვა იოლი საქმე როდია, ამისთვის მთელი გულით უნდა გიყვარდეს პატარები და შენი საქმე. სწორედ ამ სიყვარულმა მიაჯაჭვა თბილისის 216-ე ბაღს დირექტორი **ანუკი კიწმარიშვილი**. ოცი წელია თავდაუზოგავად შრომობს ბავშვის ინტერესებსა და უფლებებზე ორიენტირებული გარემოს შესაქმნელად. მისი ხელმძღვანელობით, ამ წლების მანძილზე, ბევრი რამ გაკეთდა. მოწესრიგებული ინფრასტრუქტურისა და მოვლილი ეზო-გარემოს ბაღში აღსაზრდელებს ყოველ დილით მიუხარიათ. რას არ ნახავთ აქ – ფიფქია და 7 ჯუჯა, აიწონა-დაიწონა, ცხენები, სოკოები, სასრიალოები, ფანჩატურები და სხვადასხვა გასართობი.

ბაგა-ბაღებისთვის, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, გაწერილია პროგრამა, რომელიც დაყოფილია თემებად, ქვეთემებად და მათში სხვადასხვა აქტივობა შედის. დილის წრეზე ალმზრდელი ბავშვებს



აცნობს თემებს: **„მე და ჩემი სხეული,“ „მე და ჩემი გარემო,“ „ფერები ჩემს გარშემო,“ „სახლის ცხოველები,“ „ფერმა და ფერმის ბინადრები,“ „ზოოპარკი და მისი ბინადრები,“ „შობა-ახალი წელი,“ „მწერები,“ „პროფესიები“** და სხვა. ცენტრებად დაკომპლექტებულ ჯგუფებში – ხელოვნების, დრამატული, წიგნიერების, მათემატიკის, მეცნიერების – პატარები, სურვილის მიხედვით, ნაწილდებიან. 5-6 წლიანთა მზაობის ჯგუფების ალმზრდელები: **მარინა იშხანიშვილი, ნინო ჭილაშვილი, თამილა ნებულიშვილი, მარიკა კორაშვილი,** ალმზრდელის თანაშემწეებთან – **ნინო ლიპარტელიანი, ინა მანუკიანი, ქეთევან პერტია, მაია ბერიაშვილი** – ერთად, სხვადასხვა სირთულის აქტივობებს ატარებენ.

აქცენტი ბავშვთა უნარ-



ჩვევების, ქცევის ჩამოყალიბებაზეა გაკეთებული. ალმზრდელები: **ნელი გელაშვილი, ქეთევან კვიცაძე, ლია სიდამონიძე, მანანა გიკაშვილი, შორენა კვეკვესკირი, თეა ცირეკიძე, რუსუდან ბედიაშვილი, თეო სიდამონიძე, ეკა მამადაშვილი, ლარისა ლაბაძე, ნანა ნინიაშვილი, ლამარა ცინცაძე-ცირეკიძე, ლია გაბოშვილი, ირმა ფირცხალაიშვილი, მანანა თექთუმანიძე, ანი ჯიმშელეიშვილი, ნინო ოთარაშვილი, მაკა თაბორიძე** ყველა თემის განხილვას ყურადღებით ეკიდებიან.

ალმზრდელის თანაშემწეების შრომა განსაკუთრებით დასაფასებელია. მათი ალერსი, ფერება და ღიმილიანი სახე ზოგს დედას „ავიწყებს,“ ზოგსაც – ბებიას. ესენი არიან: **ნანა კვეკვესკირი, ეკატერინე ჯანიაშვილი, ირინა ბერიძე, მაია კანდელაკი, ნათია წიკლაური, ქეთევან კანკია, მანანა ჭონიაშვილი, ირმა სეხნიაშვილი, ცისანა ლომთათიძე, მარიამ ივანიშვილი, სოფიო ტაბატაძე, ნანა ჩაჩანიძე, ნინო აბაშვილი, ელზა ტაბატაძე, ლამარა დევდარიანი, ნანა თოლორდავა, მარიტა ბერანძე, ია გელაშვილი, რუსუდან აბუაშვილი.**

ახალი პროგრამების დანერგვაში თავისი წვლილი შეაქვთ საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორებს. **მაია კიწმარიშვილი** თითქმის 20 წელია ამ აღსაზრდელებისთვის შესაფერისი სივრცე-გარემოს შექმნაზე ზრუნავს, **ელისო ბუკია** კი მხოლოდ ერთი წელია, რაც ამ გუნდს შეუერთდა. ბაღში ჯგუფები გაყოფილი აქვთ, ფუნქციები – გადანაწილებული და მულტიდისციპლინარულ ჯგუფთან ერთად, რომლის შემადგენლობაში არიან – ფსიქოლოგი **მარიკო ჩინჩალაძე,** ლოგოპედები **ქეთევან კაკაურიძე, მირანდა ოთარაშვილი** და სპეც.პედაგოგები **იზა ლაბაძე, სოფო სილაგაძე** – აკვირდებიან და სწავლობენ ბავშვთა ქცევას კონკრეტულ გარემოში. მულტიჯგუფში გონების განვითარებისა და სწორი მეტყველებისათვის აქტიურად იყენებენ თითებით და სუნთქვით ვარჯიშებს;

საგანმანათლებლო თემებთან ინტეგრირებულ მუსიკალურ აქტივობებს, რომლებიც ასაკობრივ ჯუფებთან შესაბამისობაშია, ახორციელებენ მუსიკისა და ცეკვის პედაოგები – **მაია ფეიქრიშვილი, მანანა ნიკოლაძე, თამარ მახაშვილი, მარინა ბუჯიაშვილი, ეთერ ღუდუშაური** და **სალომე ტაბატაძე.**

დაკისრებულ მოვალეობას კარგადართმევენ თავს და თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან გამოცდილი და კომუნიკაბელური ადამიანები: დირექტორის მოადგილე **ნონა სებისკვერაძე**, საქმისმწარმოებლები – **ნიკოლოზ ნაგლაძე** და **ქეთევან იშხანიშვილი**; ჯანმრთ-



ელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორები – **რუსუდან ჩხატარაშვილი, ირინა გათენაშვილი;** სამეურნეო ნაწილის კოორდინატორები – **ირმა ბერიძე** და **ინგა გვანცელაძე;** საქმის მწარმოებლის დამხმარე **გვანცა ხუციშვილი.**

თანამედროვე სტანდარტების სამზარეულოში, სადაც უმაღლეს დონეზეა დაცული ჰიგიენა, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოდან მოწოდებული მენიუს დაცვით, მზარეული **მარინა ყაველაშვილი** და მზარეულის დამხმარეები – **ნელი მუკბანიანი, ხათუნა კვიჟინაძე, დარო იაკობაშვილი, მინადორა ნიკოლაძე,** პატარებს უგემრიელესი კერძებით უმასპინძლდებიან.

ბაგა-ბაღის ყველა ყველა თანამშრომელმა კარგად იცის, რომ მათი შრომა პატარების აღზრდასა და დაცულობას ემსახურება. ამიტომაც კეთილსინდისიერად უდგებიან თავიანთ საქმეს ტექნიკური მუშაკები. დაკრიალებულ ჯგუფებსა და დერეფნებზე, სველ წერტილებსა თუ ოთახის სხვა მოწყობილობებზე ზრუნავენ: **თამარ ჩხატარაშვილი, ეკატერინე ელბაქიძე, მაია ტოროშელიძე, ია ქაცანაშვილი, ნუცა ამირანაშვილი, მარიამ ზუბიაშვილი, ხათუნა გაგოშიძე, ტატიანა მამაი** (დამლაგებლები); **თამარ პერტია, ლუბა მაზმიშვილი, ნინო ბეჟანიძე, ლია პეშკოვა, ნინო ლომთათიძე, დარეჯან ნიკოლეიშვილი, ლენა მამულაშვილი, ნათია პატარქალაშვილი, ზოია მაჩიტიძე,** (მრეცხავები); **ავთანდილ ბერიძე, ვლადიმერ ბერიძე** (დარაჯები); **ლია იბოიანი** (მებაღე); **კახაბერ ნაგლაძე, დავით ჯიმშელეიშვილი** (მუშები).





უკანასკნელ წლებში, საზაფხულო ბაღების გახსნით, მართვის სააგენტომ მშობელთა გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება შეძლო. წელს 216-ე ბაგა-ბაღი ერთ-ერთია გლდანის რაიონში, რომელიც ივლისის თვეში პატარებს უმასპინძლებს. წარმატებული ზაფხული გქონოდეთ! მხიარულ, ხალისიან არდადეგებს გისურვებთ 216-ე ბაგა-ბაღელებო!

ნათია გურგენიძე

**მანანა ზაზიკაშვილი – 80**

# საიუბილეო ლექსთა კრებული



**პოეტი მანანა ზაზიკაშვილი** 80 წლის გახდა. პოეზიის მსახური, საიუბილეო თარიღს ხელდამშვენებული შეხვდა. მან მკითხველს შესანიშნავი საჩუქარი მიუძღვნა.

**„ოცნება და სინამდვილე“** – ასე ეწოდება პოეტ **მანანა ზაზიკაშვილის** ახალ წიგნს, რომელიც ახლახან გამოიცა და მასში თავმოყრილია 500 რჩეული ლექსი ასევე – პროზაული ნაწარმოები. წიგნის პრეზენტაცია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში გაიმართა და ლიტერატორთა მხრიდან დადებითი შეფასება დაიმსახურა.

მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულ კრებულში შესულია როგორც პატრიოტული, ასევე ლირიკული და საბავშვო ლექსები. როგორც თავად ამბობს, მისი წერის სტილი იუმორისტულია. იუმორით დაჯილდოებული პოეტი ერთი პერიოდი ჟურნალ **„ნიანგშიც“** მუშაობდა. ქალბატონი მანანას შემოქმედებას კარგად იცნობს საზოგადოება. იგი ბავშვობიდან ეზიარა პოეზიის სამყაროს. მისი პირველი ლექსი 13 წლის ასაკში „ფოთის კოლხეთში“ გამოქვეყნდა. შემდეგ, ქალბატონი მანანას ნაწარმოებები იბეჭდება სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში და შესულია საჯარო სკოლების, დაწყებითი კლასების სასწავლო პროგრამებში. ესენია: **„მხატვარი“, „ბასარა“, „აერია ფისოს ნოტი“, „პატარა მეთევზეები“, „ზოოპარკში“** და მრავალი სხვა.

**მანანა ზაზიკაშვილი** 13 წიგნის ავტორია და სამომავლოდ გეგმავს ახალი წიგნის გამოცემას. გაზეთი **„სახალხო განათლება+“** პოეტს ულოცავს სახელოვან იუბილეს და შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს. ახალი წიგნიდან გთავაზობთ რამდენიმე ლექსს.

**მზია გოგოძე**

* * *




## ვიცოცხლებ სამარადისოდ

**სულის** სავანეს დავეძებ,
სულ არ ვამძიმებ მიწასა,
გამახსენდები თუ არა,
შენზე ფიქრს ვიწყებ იმ წამსა.

სულ არ მაქვს გულში ნაღველი,
ვულიმი მტერს და მოყვარეს,
ოღონდაც ჩემი ოჯახი,
სხვების ფეხდაფეხ მომყავდეს.

არ გაუჭირდეთ ჩემს შვილებს,
ჩემს მეზობელს და ჩემიანს,
ჩემი ქვეყანა ხარობდეს,
მე მეტი რა დამრჩენია.

ჩემია ჩემი ხაშური.
ეს საქართველო ჩემია.
ჩემია ჭალისუბანი,
ვაყა, ფლევი და ცოცხნარა,
ვიცოცხლებ სამარადისოდ
თუ არ შემჭამეს ცოცხლადა.

## მამულო, თუ დაგჭირდები

**საოცნებოს** და საფიქრალს
მამული უხვად გვირიგებს.
მლეთაში „ლომისი“ მწყალობს,
ქიზიყში „წმინდა კვირიკე“.
ჩემი მზიანი მამული
სულ ფეხით შემომივლია,
გორში იაკობს ვსტუმრობდი,
ყვარელში ღმერთკაც ილიას.

გული ხალისით სავსე მაქვს
კლდე-ღრეებს შენაჭიდები,
ერთი ათასად მიგულე,
მამულო, თუ დაგჭირდები!!!

## მტერ-მოყვრის გამრჩევი

**რატომ** დაარქვეს
იორს იორი,
ენგურს-ენგური,
არაგვს-არაგვი,
საიდანა გვაქვს
ამდენი ძალა,
ამდენი ჭკუა,
სიტყვის მარაგი?
რატომ დაარქვეს
შატილს შატილი?
არხოტს-არხოტი,
რბონას კი რბონა.
აბა, ვის უყვარს
კუდში ჩანჩალი,
ყველას სწადია
წინ და წინ რბოლა.
და ვინც მტერ-მოყვრის
იცის გარჩევა,
ისტორიაში
იგი დარჩება!

**ღონისძიება, რომელიც შემეცნებით ძალებს ააქტიურებს**

# ლექსო, არ დაიკარგები





**საუკუნეზე** მეტს ითვლის თბილისის აკაკი კივილაძის სახელობის მე-8 საჯარო სკოლა (დირექტორი **თეონა მაისურაძე**), რომელსაც ღვაწლმოსილი დირექტორი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ხელმძღვანელობდა. სასწავლო-შემოქმედებითი ღონისძიებებით ცნობილი სკოლა, ამჟამადაც ღირსეულად აგრძელებს ბატონი აკაკის ტრადიციებს. დაწყებითი კლასების პედაგოგი **დარეჯან ჯოჯუა** 33 წელია ამ სკოლაში მოღვაწეობს და ვინ იცის, მერამდენე თაობა დააფრთიანა, შეაყვარა „დედაენა“ და პირველი მასწავლებელი. ქალბატონი დარეჯანი **„იაკობ გოგებაშვილის საუკეთესო კლას-კაბინეტის“** გახსნისათვის გოგებაშვილის საიუბილეო მედლითა და საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. ამ კაბინეტში კი მისი პატარა მოსწავლეები ქართული სულით, ქართული ლექსის სიყვარულით იზრდებიან.

სასწავლო წლის დამამთავრებელი ღონისძიება **„ლექსო, არ დაიკარგები“** მეორეკლასელებმა ვახუშტი კოტეტიშვილის ხსოვნას და ბავშვთა დაცვის დღეს მიუძღვნეს. ბატონი ვახუშტი ხშირად სტუმრობდა ამ სკოლას და ღონისძიებაც მისი სტუმრობის ამსახველი ისტორიული ფოტოების ჩვენებით დაიწყო. **დარეჯან ჯოჯუა** ქართული ზეპირსიტყვიერების მნიშვნელობას პატარაობიდანვე აჩვევს მოსწავლეებს და ხშირად ახსენებს მათ, როგორ მიმართავდა ხალხური ლექსის მეხოტბე ახალგაზრდებს: **„ჩვენს ხალხურ ლექსებს თავზე ადგას უფლის ნათელი, ვამბობ და ვიცი, რომ ეს სიტყვა არის მართალი.“**

მოსწავლეებმა სცენაზე გააცოცხლეს უმდიდრესი ხალხური შემოქმედება – საყოფაცხოვრებო, შრომის, ბრძოლის ეპიზოდები: „მზე შინა და მზე გარეთა, მზევ, შინ შემოდიო“... „გლესავ და გლესავ ნამგალო, ნამგალო, ჩემო რკინაო“... „ნეტავი, ნატვრა მანატრა, ეს ნატვრა ამიხდინაო... ნიჭიერმა შემსრულებლებმა მშრომელი კაცის ყოველდღიური ცხოვრებაც დაგვანახეს, ომში მიმავალი ვაჟკაცებიც დალოცეს. ქართულ სამოსში გამოწყობილი პატარები – **ლუკა არჩვაძე, ნატალი ასოიანი, ლიზი ბერიაშვილი, მარიამ ბერიაშვილი, თენგო ბერიაშვილი, ალექსანდრე ბესიაშვილი, მარიამ გავაშელიშვილი, დავით გოგოლაური, მარიამ დვალიძე, ლილე თეთრუაშვილი, თეკლა კამლაძე, დავით კაპანაძე, იოანე კაპანაძე, ბარბარე კელენჯერიძე, მარიამ კრაწაშვილი, ნინო ლაბაძე, სალომე ლალიაშვილი, ლუკა მაისურაძე, გიორგი მამისაშვილი, გიორგი მიქელთაძე, მანანა მუმლაძე, გიორგი ნაკაშიძე, ბარბარე სამხარაძე, მარიამ სისვაძე, მარიამ უშიკაშვილი, გიორგი ყიფშიძე, იოანე შენგელია** და **გიორგი ჯოხაძე** – ერთმანეთს ჩვენი ფოლკლორული ნიმუშების წარმოდგენაში ეჯიბრებოდნენ.

**ლია გაბადაძე**, მშობელი: ქალბატონი დარეჯანი გამორჩეული პედაგოგია, დიდი ხანია ვიცნობ, ჩემი უფროსი ქალიშვილიც მასთან სწავლობდა. ჩვენს შვილებს არამხოლოდ წერა-კითხვას, მეგობრობას, სიყვარულს, ურთიერთპატივისცემას ასწავლის.

**კონა ქვირია,** ინგლისური ენის პედაგოგი: როგორც კოლეგამ და ამავე დროს მშობელმა შემიძლია ვთქვა, რომ დარეჯან მასწავლებელი ერთ-ერთი საუკეთესოა. ჩემი შვილებიც აქ სწავლობდნენ და ამჟამად შვილიშვილის აღზრდა მივანდეთ.







ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული ფოლკლორის ქომაგები – ბატონი ვახუშტის მეუღლე **მზეო გოგოჭური** და **ერეკლე საღლიანი**. **მზეო გოგოჭური:** დღევანდელი საღამო თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ ხალხური შემოქმედება ბეწვზე არ კიდია. თურმე კიდევ არის იმედი, რომ ბავშვებში ქართული ლექსის სიყვარული ჩაინერგება, იქნებიან ისეთი პედაგოგები, როგორიც **დარეჯან ჯოჯუაა,** რომელმაც ასე ემოციურად დაგვანახა ქართული ხალხური შემოქმედების სითბო და სიყვარული.

დარეჯან მასწავლებელი ცრემლიანი თვალებით იხსენებს ვახუშტი კოტეტიშვილის ერთ-ერთი სტუმრობის დროს წარმოთქმულ სიტყვებს: **„ხანდახან, ადამიანს ეჭვი და უიმედობა დაგძალავს. საწუხარს და სადარდებელს კაცს რა გამოულევს, მაგრამ, როცა ამ ბავშვებისგან ასეთ მუხტს მიიღებ, გრძნობ, რომ ცხოვრება მართლაც ღირს, რომ ყველაფერი არ დაღუპულა, რომ „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი.“** ეს პატარები თავიანთი წინაპრების ღირსეული შთამომავლები არიან – როგორც გაჩენით გაგვახარეს, ისე გაზრდით გაგვახარებენ, საუკეთესო მამულიშვილები იქნებიან.

**ნათია გურგენიძე**

1 ივნისი ბავშვთა დაცვის დღეა!

# ლექსებს რომ წერს პატარებს — ნაირა მათ გულს ახარებს



**განა** მოისვენებდა პოეტი **ნაირა ნიჟარაძე**, ბავშვთა დაცვის დღეს პატარებისთვის საჩუქარი რომ არ გაეკეთებინა? ჰოდა, რედაქციაში ხელდამშვენებული მოვიდა, სადიდოსთან ერთად საბავშვო ლექსებიც მოგვიტანა. სადიდო ნაწარმოებებს: **„ოჯახი“, „შვილებს“, „ქალი“, „მშვიდობის მდომი“, „რისხვა ნარკოგამყიდველს!“** განა რამე დაეწუნებოდა, მაგრამ დღის წესრიგმა მხოლოდ საბავშვო ნაწარმოების შერჩევა გვიკარნახა. და ეს ლექსები არც დიდებს აწყენთ.

## ნაირა ნიჟარაძე

### სოფლის სიყვარული

**ვიცი**, ვერას გიშველის,
დაკარგული კოშკები,
წარსულზე ფიქრს, ძვირფასო,
ვერასოდეს მორჩები.

მოდი, სოფლად წამოდი,
მთის კალთებზე ამოდი,
სიყვარულით ვაშენოთ,
ედემი და წალკოტი!

### თიბვა

**ვთიბე,** ვთიბე ბალახები,
მეც მაქვს ცელი, ნამგალი,
უჰ, ბევრია ჩვენს ბაღჩაში
სათიბი და სამკალი!

### ქოხი

**ავაშენე** კოხტა ქოხი,
მარტო ჩემთვის კი არა,
შიგ კურდღლები იცხოვრებენ,
ფუმფულა და კრიალა.

### ვენახი

**ყვავილებით** მოქარგულში
ამ მთის ძირას, მალე,
ახალ ვენახს გავაშენებთ
ოჯალეშს და ჩხავერს.

დიდ ქვევრებში შევინახავთ
აქაფებულ მაჭარს,
არცერთ მტევანს არ მივართმევთ,
ზარმაცსა და ლაჩარს.

### ჩიტი

**გალიაში** იჯდა ჩიტი,
პაწაწინა, შავი დინო,
– ბებო, მივცეთ წყალი, ღვინო,
ცრემლი არვინ მოადინოს!

### გაზაფხული

**გაზაფხული** მოფრინდა
წვიმიანი ეტლებით,
თავზე გადმოგვაყარა,
იები და პეპლები.

### გულკეთილობა

**კურდღელს** ვუკრეფ ბალახებს,
ლეკვს ვასწავლი ზრდილობას,
დედიკოსაც ახარებს
ჩემი გულკეთილობა.

### მამალი

**მამალი** გვყავს, ავია,
წითელბიბილოვანი,
სტუმრები სულ დაკორტნა,
პატარა და მხცოვანი.
– ასე ავი რად არის?
ვიცით ჩხუბი ცუდია,
არვინ არის ჩვენს შორის
ბოროტი და ბუტია.

### ანა-ბანა

**– სად** გარბიხარ, მამუკა?
დიდხანს უნდა გაცალო?
– ანა-ბანა დედიკო,
ხბოსაც უნდა ვასწავლო?

### მურას

**მურიკელა,** მთელი ღამე,
რატომ არა გძინავს?
– ვიცავ ეზოს, ვიცავ ბაღჩას,
მიყვარს დისციპლინა.

### ბალი

**– ბალი,** ბალი, ალუბალი,
დაუქროლებს ნიავ-ქარი,
– მომიწყვიტე კუნწულა,
წითელი და ფუნჩულა,
ჩემს დაიკოს წავუღებ,
და გულისკარს გავუღებ!

რომან მოსეშვილის გახსენება

# „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის“...



**დღეს** 15 ივნისია – შენი დაბადების დღე.

კვლავ ერთადა ვართ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ აქეთა ვართ, დროებით საწუთროში, შენ იქით, მარადისობაში.

წუთისოფელს მაშინ გაეყარე, როდესაც ტყემლისა და ატმის თქეში დგებოდა საქართველოში, არადა საოცრად გიყვარდა გაზაფხული. ჩამოვსხდებოდით შენი სახლის წინ მუშტაიდის ბაღში სკამზე და ცხარე მსჯელობა-კამათში ვოცნებობდით ხვალინდელ გაბრწყინებულ საქართველოზე.

კარგად ვიცით, რომ ამ საწუთროდან სამარადისო სამკვიდროში გადაბარგება თითოეული ჩვენთაგანის უცილობელი ხვედრია, მაგრამ ამ ქვეყნიდან შენი წასვლა, მიუხედავად ასაკისა, მაინც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა.

128 დღე გავიდა უშენოდ და ყოველ წუთს ვგრძნობთ, რომ ძალიან გვენატრები. ვერ ვეგუებით უშენობას.

ეს მოძალებული გრძნობა, იმ სიყვარულის წილია, თავად რომ გასცემდი უხვად.

ალბათ, ასე მოულოდნელად იმიტომ წახვედი ამ საწუთროდან, რომ ქართველ მამულიშვილთა გალერეას, ერთი პორტრეტი აკლდა. შენ გინდოდა იმ სიცარიელის შევსება.

ნეტავ, სამომავლოდ ბევრი შენნაირი **რომან მოსეშვილი** მოევლინებოდეს საქართველოს.

ფართოა შენი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის არეალი. ათეული წლები მომავალი თაობის აღზრდისა და ფორმირების საქმეს შეალიე. ჯერ ეკონომიკური კოლეჯის, შემდეგ თბილისის მე-15 და მე-11 საშუალო სკოლების დირექტორი იყავი. სწორედ აქ გამოვლინდა შენი უკიდეგანო სიყვარული მომავალი თაობისადმი, მაგრამ საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა – „ნაციონალებმა“, ამაგი იმით დაგიფასეს, რომ განათლების სისტემას ჩამოგაშორეს. უსამსახუროდ დარჩენილმა ოპტიმისტმა კაცმა, ვერ მოირგე პენსიონერის ჩოხა, ახალი იდეებითა და მიზნებით აღივსე!

აი, შემდგომი მოღვაწეობის ჩამონათვალი: საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი მდივანი, საქართველოს პედაგოგთა უფლებების დაცვის კავშირის ვიცე პრეზიდენტი, ასოციაცია „ამაგდარის“ თავმჯდომარის მოადგილე, მოსწავლეთა რესპუბლიკური შემოქმედებითი ოლიმპიადების კოორდინატორი, გაზეთ **„სახალხო განათლების“** მთავარი რედაქტორის მოადგილე. გაზეთისა, სადაც მაღალი პიროვნული ნიჭით, ამაგდარ ადამიანებზე სიყვარულით გამთბარი წერილები, განათლების პრობლემებზე, კომპეტენტური სტატიები რომ ქვეყნდებოდა.

განუმეორებელი ენერგიის მქონე დაუღალავი კაცი იყავი, საზოგადო-სასიკეთო საქმეთა მკეთებელი.

ცალკე სასაუბრო თემაა შენს მიერ ყველასათვის სამაგიდო ატრიბუტად ქცეული – თბილისის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულების, **საინფორმაციო-სატელეფონო** (სამჯერ გამოცემული) **ცნობარი,** რომლის შედგენა-გამოცემას ტიტანური შრომა შეალიე.

ნეტავ, იცოდე, შენი კოლეგებისა და მეგობრებისთვის რა ძნელია უშენოდ ყოფნა, სიდინჯისა და სიდარბაისლის კაცო!

არასოდეს ჩქარობდი, არსულსწრაფობდი, ყოველთვის დინჯად და აკადემიურად წყვეტდი საკითხებს.

40 წლის მანძილზე, ერთხელაც არ მახსოვს შენგან, ოდნავადაც უწმაწური სიტყვა, ან ვინმეს ლანძღვა და ქირდვა.

თავად ბრწყინვალედ აღზრდილი, განუმეორებელი აღმზრდელის ცოცხალი მაგალითი იყავი.

იცოდი გამორჩეული მოგობრობა. თუ კაცს რაიმე ბზარი ან ლაქა ჰქონდა, გვერდით არ გაიკარებდი.

დედაქალაქის 500-მდე სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების თითქმის ყველა ხელმძღვანელს იცნობდი, გამორჩეულად კი მხოლოდ სამთან – მე-8, 32-ე და 154-ე საშუალო სკოლების დირექტორებთან: **აკაკი კივილაძესთან, ოთარ თეთვაძესთან** და **გოჩა გურგენიძესთან** მეგობრობდი.

ამჟამად მე-8 და 32-ე სკოლებს აწგარდაცვლილი **აკაკი კივილაძისა** და **ოთარ თეთვაძის** სახელები ჰქვია.

**უსამართლობა იქნება, რომ მათ გვერდით თბილისის მე-11 საჯარო სკოლას, რომან მოსეშვილის სახელი არ მიენიჭოს.**

იყავი ქართული სუფრის ეშხი და ლაზათი. შესანიშნავი მეუღლე, განუმეორებელი მამა და ბაბუა. ამაზე შენი შვილებისა და შვილიშვილების მაღალი საზოგადოებრივი ავტორიტეტი მეტყველებს.

იცოდე, რომან, რომ ჩვენთვის მუდამ ცოცხალი და სამაგალითო პიროვნება იქნები.

იძინე მშვიდად, ჩემო ძმაო და მეგობარო. ისეთი მძიმე საჯილდაო ქვა გაქვს აწეული, რომ ქართული მიწა უდაოდ მსუბუქი იქნება შენთვის.

**გოჩა გურგენიძე,**
კოლეგებისა და უახლოესი მეგობრების სახელით.

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ N10 (4569)
6 ივნისი / 2018 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 597 765 810;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113